№14(216) 4-10 მაისი, 2001 წ   პარასკევის გამოშვება   ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია 2001

დღ ეიდან ვიწყებთ
ახ ალ ჩემპიონატს
კროსვორდების
მოყვარულთათვის

4 მაისიდან 29 ივნისამდე

შევერკინოთ ერთმანეთს?



აკრძალვის პერიოდი
ჩვენი კინორეჟისორი

სისხლიანი დანაშაული
რუსეთის მდინარე
ჩხუბი / ინსტრუმენტი
ძრავაშია
გიორგი დას.-ქართულად
ეგზოტიკური ხილი
აის შემდეგ
თამაშის ჯარისკაცი
შესავალი
გიჟი
ბალთაზარ (.......)
მარტოსული
ყოვლისმცოდნე
ძვ.მომღერალი ლეონიდ (......)
(მადამ) კასტა
ედგარ ალან... / აპრიალებს
საყრდენი
ძვ.რუსი მსახიობი ქალი
თბილისის უბანი
რისკი
მულტთერძი
აშშ-ს მდინარე / გამოუსვლელი
ლოცვის ბოლოსაა
ბილიარდის მაგიდაზეა
სომეხი მევიოლინე
„რვაფეხას“ (......) კაპიტანი
დიდი იტალ. მხატვარი
უმოძრაობა
ყვავი
ტრანსპორტი / გაგარინი
მუსოლინი
ივლინ... / სინათლე
ლოგარითმული
ესა (....) რაცა (.....)
გაერთიანება
(....) ბრინერი
ზოგის გულშია
ბოლმა / ჯეკი / რუსეთ. მდინარე
კონფლიქტი
გოგონა (ინგლ.)
თვალშიც, მხრებზეც

*ცნობისმოყვარეთათვის*

# დიდი სამყაროს პატარა ამბები

* * *ყველაზე გრძელი კიბე მთელ მსოფლიოში მდებარეობს შვეიცარიის ალპებში ზღვის დონიდან 2365 მეტრ სიმაღლეზე, ის განთავსებულია საბაგირო გზის ჩაყოლებაზე და 11674 საფეხურს ითვლის.

* * *მოხეტიალე მუსიკოსის მკვლელობა შუა საუკუნეებში დანაშაულად არ ითვლებოდა.

* * *აშშ-ს ოთხ შტატში: ვერმონტში, ალასკაში, ჰავაიში და მენში აკრძალულია დიდი ზომის სარეკლამო პლაკატები, ეგრეთწოდებული ბილბორდები.

* * *ჩინეთში საათი წარუმატებლობის სიმბოლოა, ასე რომ, თუ ჩინეთში ყოფნისას ვინმეს საათს აჩუქებთ, ამით დიდ შეურაცხყოფას მიაყენებთ საჩუქრის ადრესატს.

* * *დაახლოებით 100 წლის წინ მეზღვაურები ერთ ტერფზე ამოისვირინგებდნენ ხოლმე ღორის, ხოლო მეორეზე მამლის გამოსახულებას, რაც, მათი აზრით, საუკეთესო საშუალება იყო დახრჩობის წინააღმდეგ.

* * *ჭამის შემდეგ იაპონელები ზრდილობიანობის გამოსახატავად ამბობენ „იტადაკიმასუ"-ო, რაც ქართულად ნიშნავს - „მე მივიღე ეს საჭმელი"... ამით თავაზიანი იაპონელები მადლიერებას გამოხატავენ მზარეულის მიმართ.

* * *ნიდერლანდი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პორნოგრაფია აკრძალული არ არის.

* * *დაკვირვებული არქიტექტორებისათვის დიდი ხანია საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინგლისის, შოტლანდიის და ევროპის თითქმის ყველა ციხე-სიმაგრეში ხრახნილ კიბეებს აქვთ ერთი თავისებურება: საფეხურები იგრიხებიან საათის ისრის მიმართულებით. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის ფაქტი, რომ ალყის შემორტყმის დროს ხსენებული კიბეები საუკეთესო თავდასაცავ საშუალებას წარმოადგენდა, რადგან მოწინააღმდეგეებს შეეძლოთ ასულიყვნენ ამ კიბეზე მხოლოდ სათითაოდ, და რაც ყველაზე მთავარია, საფეხურების მარჯვნივ გრეხის გამო, თავდამსხმელი ვერ იყენებდა მარჯვენა ხელს ისე კარგად, როგორც ამას კიბის თავში მდგარი ციხე-სიმაგრის მცველი ახერხებდა... თუ რა მიმართულებით იგრიხება თბილისის ძველ უბნებში შემორჩენილი ასეთი კიბეები, ეს ჩვენ არ გვსმენია.

* * *ფლორიდის შტატში ქალებს აჯარიმებენ, თუ მათ სილამაზის სალონში, თმების გაშრობის დროს ჩაეძინებათ.

* * *კენტუკის შტატის თითოეული მოსახლე კანონის ძალით ვალდებულია იბანაოს წელიწადში ერთხელ მაინც.

* * *იაპონიაში ბაყაყი წარმატების სიმბოლოა.

* * *საშუალოდ ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იმუშავებს 23 ათას ლიტრ ნერწყვს და 18 ათას ლიტრ ოფლს, თვალს აპაჭუნებს 300 მილიონჯერ, იჭრის 4 მეტრ ფრჩხილს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ჭამს 22 ტონა საჭმელს და სვამს 33 ათას ლიტრ სითხეს, ამასთან, ამ ყველაფრის შედეგად გამოყოფილი ენერგიის რაოდენობა საკმარისი იქნებოდა 100 კვ.მ. ფართობის გასათბობად 10 წლის განმავლობაში.

* * *ნიუ-იორკის შტატში აკრძალულია ტროლეიბუსში კურდღლის მოკვლა.

* * *პაკისტანში უზრდელობად ითვლება ფეხისგულების ჩვენება იატაკზე მუხლთმორთხმით ჯდომის დროს.

* * *ბერმუდას კუნძულებზე 1948 წლამდე მაცხოვრებლებს ეკრძალებოდათ ჰქონოდათ ავტომობილი კერძო მფლობელობაში, სწორედ ეს არის მიზეზი იქ ველოსიპედების სიმრავლისა.

* * *საფრანგეთში 1944 წლამდე ქალებს ეკრძალებოდათ არჩევნებში მონაწილეობა.

* * *1932 წელს შეიქმნა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია **FIBA**, რომელშიც გაერთიანებული იყო 8 ქვეყანა: არგენტინა, საბერძნეთი, იტალია, ლატვია, პორტუგალია, რუმინეთი, შვედეთი, ჩეხოსლოვაკია... და რატომ არ იყო მათ შორის თავდაპირველად აშშ ეს ზუსტად ამერიკელებმაც არ იციან.

* * *ჩილეს ქალაქ ვალპარაისოში 15 ფუნიკულორია და ამ ქალაქის მაცხოვრებლები სიამაყით უწოდებენ მას ფუნიკულიორების ქალაქს.

* * *გაიხსენეს რა საკუთარი ისტორია, „ღმერთების ქარი" უწოდეს იაპონელებმა პირველ თვითმფრინავს (იაპონურად - კამიკაძე), რომელმაც 1935 წელს პირველად დაძლია ტოკიოსა და ლონდონს შორის არსებული საჰაერო სივრცე 51 საათში. გავიდა 10 წელი და მთელმა მსოფლიომ დაიმახსოვრა ეს სიტყვა სულ სხვა მნიშვნელობით.




| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 |

01-50 ქულა - **შეუფასებელი**
51-90 ქულა - **დაბალი შედეგი**
91-130 ქულა - **საშუალო შედეგი**
131-170 ქულა - **ოსტატური შედეგი**
171-199 ქულა - **დიდოსტატის შედეგი!**
200-208 ქულა - **ბრავო, მაესტრო!**
209 ქულა - *პასუხები ადარ დავბეჭდოთ?!*
*პასუხები მე-18 გვერდზეა*

1. იმ ტერიტორიის პირვანდელი სახელწოდება, სადაც წარმოიქმნა ჩეხეთის სახელმწიფო (6). 2. აცტეკთა ტომის ყველაზე ცნობილი ბელადი, რომელიც მას შემდეგ, რაც ხელში ჩაუვარდა კორტესს, მოკლული იქნა თავისივე ხალხის მიერ (7). 3. სოფელი გორის რაიონში (4). 4. ერთგვარი მელნის ღრუბელი, რომელსაც გამოყოფენ ზოგიერთი მოლუსკები თავდაცვის მიზნით (8). 5. ციური სხეული, რომლის დიამეტრი არ აღემატება 1000 კმ-ს (5). 6. ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე ადგილი (3). 7. ქალაქი, სადაც მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე მაღალი სატელევიზიო ანძა (6). 8. იმპერატორის ტიტული ძველ რომში (4). 9. ბუნების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში (4). 10. ქართველი პიანისტი (6). 11. დამრიგებლობითი ხასიათის გამონათქვამი (5). 12. ძველი რომაული არქიტექტურის ნიმუში, ფლავიუსების დინასტიის ამფითეატრი, სადაც იმართებოდა გლადიატორთა ბრძოლები (4). 13. რაიმე შინაგანი თვისება (4). 14. მე-20 ს. ესპანელი მწერალი, ავტორი რომანისა „პაუნდემონიუმი" (9). 15. ძველი ეგვიპტის კულტურის ნიმუში, ფანტასტიური არსება ლომის ტანით და ადამიანის თავით (3). 16. მე-17 ს. ინგლისელი ფიზიკოსი, დაადგინა იდეალური აირის ერთ-ერთი კანონი (6). 17. აფხაზეთის ლიდერი (2). 18. ამერიკელი მწერლის, ჯონ გრიფიტის, ლიტერატურული ფსევდონიმი, რომლითაც მას მთელი მსოფლიო იცნობს (4). 19. არაბეთის სახალიფოს II ხალიფა (5). 20. მე-19 ს. ინგლისელი მწერლის ელიზაბეტ გასკელის რომანი (9). 21. მიწის დიდი ნაკვეთი, სადაც მოჰყავთ სპეციალური სასოფლო-სამეურნეო კულტურა (5). 22. თიხის დიდი ჯამი (2). 23. ორელექტროდიანი გაზური განმუხტვის მილაკი (4). 24. ქვისაგან გამოთლილი ან ლითონისაგან ჩამოსხმული ფიგურა (3). 25. ყურის ანთება (5). 26. ქიმიური ელემენტის არსებობა, ორი ან მეტი მარტივი ნივთიერების სახით (8). 27. ნახშირმჟავას მარილი (7). 28. ამერიკელი დრამატურგი, 1936 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი (7). 29. სახელმწიფო აზიის დასავლეთ ნაწილში (4). 30. უფერო, გამჭვირვალე მინერალი, კვარცის სახესხვაობა (6). 31. საბჭოთა მათემატიკოსი, ცნობილი მათემატიკური ცხრილების ავტორი (5). 32. 1947 წელს დაბადებული, ინდოელი წარმოშობის ინგლისელი მწერალი (7). 33. მე-19 ს. ფრანგი მეცნიერი, თანამედროვე მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის ფუძემდებელი (6). 34. მოწინააღმდეგე მხარე ბრძოლაში (1). 35. ალკოჰოლური სასმელი, რომელიც მიიღება შაქრის, ცხელი წყლის, რომის და ლიმონის წვენის შერევით, ხშირად რომლის ნაცვლადაც იყენებენ კონიაკს (6). 36. სანიავებელი საშუალება (1). 37. კოლექტიური გამგზავრება სასწავლო-სამეცნიერო მიზნით (3). 38. მცენარეული წარმოშობის, აზოტის შემცველი ნაერთი (10). 39. სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდება (6). 40. ამერიკელი სპორტსმენი, ერთადერთი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ათჭიდში (10).

# გიორგი ვეკუას კროსვორდი



**თარაზულად:**







11. აკადემია, რომლის 1-ლი რექტორი იყო იოანე პეტრიწი. 12. ნობელის პრემიის მფლობელი, ანუ? 13. კვეთილი ქვა. 14. „ჯეოსელის“ აბონენტებს შეუძლიათ შეიძინონ (...)-ბარათი. 15. ქალაქი იემენში. 18. რთული ნახტომი ცირკში ან ფიგურულ სრიალში. 20. ცნობილი პოლიცმეისტერი. 21. ბავშვის დამშინებელი. 24. წელთაღრიცხვის ძველი სისტემა ქრისტიანულ ქვეყნებში. 26. მუსიკალური ინტერვალი 1-ლ და მე-3 საფეხურებს შორის. 27. ბავშვის ამქმელი, მეანი ქალი. 28. ძალის საზომი წელსაწყო. 32. სექტემბერი. 33. თხოვნა, ხვეწნა რისამე შესახებ.

35. ასე ვთქვათ, ცის მკვლევარი.




**შვეულად:**




2. მზისგან შუქის მომპარავი, შექსპირის აზრით. 3. დღეს ყველაზე უფრო ცნობილი ფრიდონი.




5. ლეონიძე. 6. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხსენებადი სახელი დღევანდელ საქართველოში. 7. რადიაქტიური ელემენტი, ატომური საწვავი. 10. შოტლანდიის ქალაქი.

16. რძეში მოხარშული ცომის ნაჭრები. 17. ფრანგული სასაუზმო „რუსული“ სახელით. 19. რუსული კინოს ცნობილი მსახიობი, ლარისა.... 23. სამხრეთ ამერიკის ქვეყანა. 25. მარადმწვანე დეკორატიული ბუჩქი, ხარობს სამხრეთის ქვეყნებში. 29. „თუ გინდა სითბო და (....), ჩახედე მეგობარს თვალებში“. 30. პოლიტ. წყობა ამა თუ იმ ქვეყანაში. 31. კანადელი მომღერალი ქალი სელინ (....). 33. პიპინიას ძაღლი.




## სპარსული სიტყვები ქართულ ენაში

24. **ბაბრი** - ძველ ტექსტებში ხშირად გვხვდება „ჯიქის“ მნიშვნელობით.
25. **ბადალი** - ტოლ-სწორს რომ ნიშნავს, თავადაც მოგეხსენებათ, თუმცა ამ სიტყვას ორიგინალში უფრო „ნაცვალის“ მნიშვნელობით ხმარობენ.
26. **ბადახში** - გრიშაშვილის სიტყვებს გაგახსენებთ: „საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი შიგ ჩასმული ბადახში.“
27. **ბადრიჯანი** - ჩვენ ამ სიტყვაში „რ“ ჩავამატეთ, სპარსელები ამბობენ „ბადენჯან“-ო
28. **ბაზარი** - ირანელ-ავღანელები სიტყვა „ბაზარს“ ქალაქის სავაჭრო ცენტრის და ზოგადად ქალაქის სანაცვლოდაც ამბობენ.
29. **ბაზი** - მონადირე ფრინველი. „ბაზიერი“ მისი დამგეშავია.
30. **ბათქაში** - თურქულ (ბათ) სპარსული (ქაშ) სიტყვათშეთანხმებაა; გაიხსენეთ „დამქაში“ - დამის გამწევი.
31. **ბალაგანი** - ეს სიტყვა ბევრს რუსული ჰგონია, არადა წმინდაწყლის სპარსული გახლავთ.
32. **ბალიში** - აქ ფორმაც შენარჩუნებულია და შინაარსიც.
33. **ბამბა** - სხვათა შორის, სპარსულში „ბამბის“ სინონიმად „ფახთაც“ იხმარება, რაც დაფიქსირებულია სიტყვაში „ფახთაქორ“ (ტაშკენტის ფეხბ. გუნდი) და „მებამბეს“ ნიშნავს.
34. **ბანდი** - სპარსული ზმნის „ბასთან“ (შეკვრა, შეფუთვა) აწმყო დროის ფორმაა და წვრილი თოკის მნიშვნელობით იხმარება.
35. **ბანოვანი** - ეს ერთობ უცნაური მოვლენაა: „ბანოვან“ სპარსელთათვის „ქალებს“ (ბანუ+ან) ნიშნავს, ჩვენთან კი ერთი ქალი აღინიშნება.
36. **ბარბითი** - სიმებიანი ინსტრუმენტი.
37. **ბარდანა** - „ბარ“ - ბარგია, „დან“ - შემცველობას აღნიშნავს; გაიხსენეთ - ჩაიდანი, ყავადანი, ჩემოდანი.
38. **ბარიბარი** - ამ სიტყვას სპარსელებიც გათანაბრების აღსანიშნავად ხმარობენ.
39. **ბაფთა** - ამ სიტყვას სპარსელები „დაწნულ-მოქსოვილად“ აღიქვამენ, რადგან ზმნა „ბაფთან“-დან (ქსოვა) წარმოდგება.
40. **ბალი** - დიახ! ესეც სპარსული სიტყვაა.
41. **ბაღნარი** - „ნარ“ არის ბოლოსართი, რითაც რაიმე სიმრავლე აღინიშნება: ვარდნარი, შამბ-ნარი და ა.შ.
42. **ბალჩა** - პატარა ბალი. გაიხსენეთ: ჩამჩა (პატარა ჯამი), ჯუბაჩა (პატარა ჯუბა).
43. **ბაყაყი** - სპარსულ „ბაყას“ ჩვენი სახ. ბრ. ნიშანი „ი“ დაერთო, მეორე „ყ“ კი თავისთავად გაჩნდა.
44. **ბაჩა** - სპარსულად ბავშვს ნიშნავს, ჩვენთან კი პატარა ზომის საქონლის აღსანიშნავად იხმარება.
45. **ბე** - წინასწარი თანხა
46. **ბებუთი** - დიდი მოხრილი დანა.
47. **ბედენა** - უვიცი (ბი-დანა).

- ეს სამეცნიერო ნაშრომი არ გახლავთ და გაზეთის კეთებასთან ერთად, სახელდახელოდ იქმნება, ამიტომ მას სრულყოფილების პრეტენზია არ გააჩნია და არც შეცდომებისგანაა დაზღვეული.

- ჩვენ არ აღვნუსხავთ სპარსული ენის გზით შემოსულ სხვა აღმოსავლურ (არაბულ, თურქულ, მონღოლური, სომხურ) სიტყვებს, რომლებიც ყველა ერთად, ალბათ, ორჯერ აღემატება მხოლოდ სპარსულ ბარბარიზმებს.

- გასულ ნომერში უკვე ვთქვით: ამ 6-7 თვის წინ რომ დავიწყეთ ამგვარი სიტყვების აღნუსხვა ჩვენს ენაში, შედეგი იმდენად დამთრგუნველი აღმოჩნდა, რომ მისი პუბლიკაცია შეგნებულად შევწყვიტეთ; ახლა ამ ლექსიკური ერთეულების ბეჭდვას განვაგრძობთ ზოგიერთი მკითხველის თხოვნით და უფრო იმისა გამო, რომ თვალნათლივ დავანახოთ დაინტერესებულ პირებს, თუ რა შეიძლება მოხდეს, როცა უცხო ენიდან გაუაზრებლად შემოგვაქვს ყველა სარგებლიანი თუ უსარგებლო სიტყვა. ასე რომ, იმ ანონიმ მკითხველთა გაღიზიანება, რომლებმაც დაგვირეკეს და „მოგზავნილი“ გვიწოდეს, სავსებით გასაგებია ჩვენთვის - ისინი აღაშფოთა ძირძველი ქართულ სიტყვებად მიჩნეული ერთეულების არაქართულობაში მხილებამ!

- დარწმუნებულნი ვართ, ასიოდე წლის შემდეგ ვინმეს რომ უთხრათ, „სასტავი“ ქართული სიტყვა არ არისო, თქვენც „მოგზავნილს“ დაგიძახებენ!

## „უაზრო“ პასუხი აზრიან რეპლიკაზე

...ჩვენ მკითხველთა შენიშვნებს არასოდეს ვყოფილვართ მოკლებულნი; ყველას თავისი აზრი და გემოვნება აქვს. ასე რომ, გასაკვირი არ არის, თუ გარკვეულ ნაწილს მოსწონს ჩვენი გაზეთი, გარკვეული ნაწილი კი აქტიური და აგრესიული წინააღმდეგია მისი. ჩვენ ამგვარ დამოკიდებულებას უკვე მეექვსე წელია ვგრძნობთ და პრაქტიკულად შევეგუეთ კიდეც მას, მაგრამ როცა მავანი ანონიმური მკითხველი დაგირეკავს და გეტყვის - „ეს რა უაზრო გაზეთი გაქვთო“ - უნებლიედ ეჭვის თვალითაც შეათვალიერებს კაცი ამ ხუთი წლის განმავლობაში წარმოებულ „აზრდაკნინებულ პროდუქციას“.

...ჩვენ, ვიცით, რომ მკითხველ-შემვსებთა დიდ ნაწილს აღიზიანებს საკითხთა დასმის იმგვარი სტილი, როცა ამოსაცნობად შემოთავაზებული ცნება თუ ობიექტი არატრადიციული კუთხითაა დანახული, მაგრამ გარკვეულ ნაწილისათვის სწორედ ეს სტილია მისაღები და ჩვენ აქცენტს სწორედ ამ უკანასკნელებზე ვაკეთებთ, რადგან თავადაც, ასე ვთქვათ, იგავურმინიშნებითი თვალთახედვის მოყვარულნი ვართ. ერთი სიტყვით, ჩვენ ჩვენი აუდიტორია გვყავს და აზრადაც არ გვაქვს იმ მკითხველთა გადმობირება, რომლებიც „აზრიანი“ საკროსვორდო გამოცემების შევსებით იმაღლებენ ზნეობრივ-ინტელექტუალურ დონეს.

**ალ.ელერდაშვილი**

**თარაზულად:** 1. გვარი ლეგენდარული მომღერლისა, რომელსაც სულ ეხლახანს ჰავანაში ძეგლი დაუდგეს. 4. მიმართულება XIX საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიისა და ავსტრიის ხელოვნებაში. 9. რა ეწოდება შენობის მთავარ ფასადს არქიტექტურაში? 17. კონცხი აშშ-ში, ფლორიდის ნახევარკუნძულზე, სადაც მდებარეობს ჯორჯ ფიტცჯერალდ კენედის სახელობის კოსმოდრომი. 18. XX ს რუსი საბჭოთა მწერალი, ავტორი რომანისა „დაბრუნება“. 19. რა ეწოდება მღელვარების, გამოუვალობისა და სასოწარკვეთილების მდგომარეობას ფსიქოლოგიაში? 22. რა ჰქვია ოტია ქამუშაძის დედას დავით კლდიაშვილის ცნობილ ნაწარმოებში? 23. ორ ნუშს შორის მოქცეული სუბიექტი. 24. ჯეიმს ჯოისის მოთხრობების კრებული საკუთარი თანაქალაქელების შესახებ. 28. ხის ფირფიტებისაგან შემდგარი სარტყამი მუსიკალური ინსტრუმენტი. 29. რა ჰქვია ლექსის სტროფს პოეზიაში, რომლის სტრიქონების პირველი ასოები ადგენენ ავტორის სახელს? 30. ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი. 34. ბუნების მძლავრი მოვლენა. 35. რა ჰქვია კომპიუტერს, რომელიც სხვა კომპიუტერებს ემსახურება? 36. ამერიკელი ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკოსი, სტივენ... 37. ქალაქი ბოლივიაში. 42. რა ჰქვია შერლოკ ჰოლმსის ძმას? 43. მითოლოგიური არსება, რომელსაც ძლიერ უყვარდა გამოცანების დასმა და რომლის ქანდაკებაც შეიძლება იხილოთ ოსკარ უაილდის საფლავზე პარიზში. 44. ტიპიური რუსული სახელი ქალისა. 45. რა ჰქვია პიერ ბულის „მაიმუნების პლანეტის“ მთავარ პერსონაჟ ქალს? 50. საბჭოური ავტომობილი. 51. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 52. სამკურნალო დაწესებულება. 53. ვინ არის გერდ მიულერი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში? 57. მომგებიანი ქულა პრეფერანსში. 58. სამყაროში ყველაზე გავრცელებული ქიმიური ელემენტი წყალბადთან ერთად. 59. საეკლესიო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. 60. ჩინეთის მაცოცხლებელი ერთ-ერთი მდინარეთაგანი. 65. თანამედროვე ინდოელი მოჭადრაკე. 66. თამაში, რომელშიც ღამის ჩემპიონატი ჩაატარა ოსტაპ ბენდერმა. 67. ვინი პუჰის გამხმოვანებელი საბჭოთა მულტიპლიკაციაში. 68. ევროპაში „ციმბირულ ანანასად“ მონათლული მცენარე. 73. ის, რაც პირველად მთელ მსოფლიოში სტოქტონიდან დარლინგტონისაკენ გაემართა. 74. შტატი აშშ-ში, რომლის წარმომადგენელთა გუნდი -ში „პეისერსის“ სახელს ატარებს. 75. ცნობილი რუსი რეჟისორი და მსახიობი, ალისა ფრეინდლიხის მეუღლე. 79. ქიმიური ელემენტი მენდელეევის პერიოდული სისტემიდან. 80. აპოლონის და მუზების საცხოვრებელი მთა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 81. ბერნჰარდ კელერმანის რომანი. 82. ფინიშის ანტიპოდი. 87. ქალაქი, რომლის მეორე სახელიც ილიონი იყო. 88. ტვირთმზიდავი ხარი. 89. ვიოლინოების სახელგანთქმული ოსტატების - გვარნერის, სტრადივარის და ამატის მშობლიური ქალაქი იტალიაში. 90. რუსი მწერალი, ავტორი რომანისა „ალისფერი აფრები“. 91. საწვავის ჭურჭელი ავტომობილში. 96. რაიმე მასალაზე პირუკუღმა ამობურცული გამოსახულება ანაბეჭდის მისაღებად. 97. ჯირკვლოვანი ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე. 98. რაიმეს შეერთებით ან შეკოწიწებით მიღებული შედეგი. 99. ლოს-ანჯელესის კალათბურთელთა გუნდის სახელწოდება გაიხსენეთ აქ. 103. სოფელი სიღნაღის რაიონში. 104. ზღვიის მტაცებელი არსება, რომელსაც დიდ პატივს სცემენ აშშ-ს ქალაქ სანხოსეში ჰოკეისტთა გუნდის წყალობით. 105. საწერი მაგიდის სახესხვაობა. 110. ჟან ბატისტ პოკლენის, იგივე მოლიერის, შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი. 111. რა ჰქვია ჟიულ ვერნისეულ ინჟინერს, გვარად სმიტს „საიდუმლო კუნძულში“? 112. ფერწერაში ხმარებული რბილი ფერადი ფანქარი. 113. წყნარი ამინდი ზღვაზე. 118. რამდენიმე მსხვილი ბანკის გაერთიანება ჩვენებური „გაერთიანებული ქართული ბანკის“ მსგავსად. 119. შთამომავლობისადმი მიმართული ცალმხრივი გარიგება. 120. ჯარისკაცის საპატიმრო ოთახი. 124. თანხმობის სახესხვაობა. 125. რა ჰქვია პოლონელ კინორეჟისორს, ვაიდას? 126. რეგვენად მონათლული ქართველი მეფე. 127. ნატურალური საქონელგაცვლის სახესხვაობა. 128. რა ჰქვია მორიკონეს, იტალიელ კომპოზიტორს? 133. 1960-70 წწ პოპულარული ცეკვა. 134. სახელმწიფო კარიბის ზღვის აუზში. 135. წერის უნარის დაკარგვა, ანუ რა? 136. ის, რასაც უწოდებენ სასწაულმოქმედი ძალის მქონე ნივთს რელიგიური მოღვაწენი? 140. ბრძოლის ამსახველი სურათების მხატვარი, ანუ ვინ? 141. რუსი ფერმწერი და გრაფიკოსი, ალექსანდრ ალექსანდროვიჩი... (1899-1969). 142. მომცრო სპილენძის ქვაბი. 147. რა ჰქვია მაკდაუელს, ინგლისელ მსახიობს? 148. ქიმიური ელემენტი, რომელსაც სახელი შეფერილობის გამო ინდიგომ მისცა. 149. უფერო სითხე, ორგანული ნაერთი, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს ტექნიკაში. 150. იტალიელი ვიოლინოების ოსტატი. 155. ფრანგული წარმოშობის რუსი არქიტექტორი, ამგები ისააკის ტაძრისა. 156. როგორი შეიძლება იყოს ცოდვა? 157. პარალელური ბიოგრაფიების ავტორი ძველბერძენი მწერალი. 161. ტაბიკების გადასაბმელი თოკი. 162. ხელზე მომსამსახურე ლაქია ევროპულ ცნობიერებაში. 163. რა ჰქვია რობინ ჰუდის სატრფოს? 164. გვამი, ნეშტი... კიდევ? 165. ადრიანო ჩელენტანოს კინოპერსონაჟი ფილმში „ჭირვეულის“ მორჯულება. 166. მრავალცოლიანობა, ანუ რა? 167. წარსულის უძლიერესი ბრაზილიელი ფეხბურთელი. 168. იტალიელი კომპოზიტორი, ვინჩენცო... (1801-1835).

**შვეულად:** 1. ძვ. რომაელი ფილოსოფოსი, ავტორი შრომისა „საგანთა ბუნებისათვის“, ტიტუს კარუს... 2. ქართველი კინორეჟისორი. 3. შავიზღვისპირა პორტი რუსეთში. 5. აშშ-ს კონექტიკუტის შტატში მდებარე ცნობილი უნივერსიტეტი. 6. ყირაზე გადასვლა, ანუ გადაკოტრიალება. 7. ქალაქი ყაზახეთში მდინარე ირტიშის ნაპირას. 8. მდინარე სამხრეთ საფრანგეთში. 10. ლიონ ფოიხტვანგერის ცნობილი რომანის სათაურში დაფიქსირებული რომის იმპერატორი. 11. დიაბეტის სამკურნალოდ გამოყენებული კუჭუკანა ჯირკვლის ჰორმონი. 12. როგორი შეიძლება იყოს სატელიტური ანტენა? 13. რუსი თეატრალური მოღვაწე და სახალხო არტისტი, ნატალია.... 14. ქართველი პოეტი. 15. ნეტარად შერაცხული ქრისტიანი თეოლოგი და რელიგიური მოღვაწე. 16. ქალაქი და პორტი სირიაში. 20. ავტორი რომანებისა „ტრფობა წამებული“ და „მიმქრალი შარავანდედი“. 21. სახელგანთქმული რუსი ძალოსანი. 25. ჰიტლერის სამხედრო წოდება. 26. უეფას პრეზიდენტი, ლენარტ.... 27. ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“. 31. პლანეტა ურანის თანამგზავრიც და უილიამ შესპირის „ქარიშხლის“ პერსონაჟიც. 32. ბეჭედი თანამდებობის პირის ხელმოწერით. 33. ორი ძვ.ბერძნული სიტყვის, „მინდორის“ და „კანონის“, შეერთებით მიღებული ტერმინი ჩაწერეთ აქ. 38. რა ჰქვია ოიდიპოსის დედას და მეუღლეს ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში? 39. თანამედროვე ფრანგი ფეხბურთელი. 40. თარგმნეთ სუახილის ენაზე სიტყვა „ლომი“ და... ერთ მულტპერსონაჟის სახელს მიიღებთ. 41. ძველი ბერძნული ქალაქი-სახელმწიფოს მმართველის ტიტული. 46. რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის სასიარული სივრცის გამმიჯნავი მოწყობილობა. 47. ნაადრევად დაბადებული, ანუ... 48. მოლიერისეული პერსონაჟი. 49. სამთა კავშირი ძველ რომში. 54. კარლსონის ლიტერატურული დედა. 55. აშშ-ს მე-15 პორეზიდენტის სეხნია, სიდიდით მეორე ქალაქი ლიბერიაში. 56. არასერიოზული და უხამსი, ანუ როგორი? 61. საგანი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თითმის ყველა ფაკულტეტზე ისწავლებოდა ამ ოციდე წლის წინ. 62. ის, რაც უნდა გააჩნდეს თითოეულ ჩვენთაგანს. 63. „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟი. 64. ფრე - ჭადრაკში. 69. ავეჯისა და მუსიკალური საკრავების წარმოებაში ხმარებადი ძვირფასმერქნიანი ხე. 70. სოფელი აფხაზეთში, გუდაუთის მახლობლად. 71. როგორია უკაცრიელი და მივარდნილი ადგილი? 72. პოლიკარპე კაკაბაძისეული პერსონაჟი. 76. რაფაელ დე ვალენტენთან დაკავშირებული საგანგებოდ გამოყვანილი ტყავი. 77. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე. 78. როგორი დაცვა უყვარს გარი კასპაროვს? 83. ქალაქი გერმანიაში. 84. პუშკინისეული სალტან მეფის ვაჟის სახელი გაიხსენეთ. 85. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში. 86. სისხლის აღრევა, ანუ რა? 92. რომაელების წინააღმდეგ მებრძოლი ხერუსკების ტომის ბელადი, რომელმაც ტევტობურგის ტყეში გაანადგურა რომაელთა ლაშქარი. 93. არზაყან ზვამბაიას ძიძიშვილის გვარი. 94. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი. 95. ივანე მრისხანეს, ასე ვთქვათ კგბ-ს, ოპრიჩნინის, ხელმძრვანელი და ივანე მრისხანესთან მეტად დაახლოებილი პირი, მალიუტა... 100. იტალიური კომედია „დელ არტეს“ პერსონაჟთაგანი. 101. ძველბერძენი მოქანდაკე, ავტორი სახელგანთქმული „ლაოკოონისა“. 102. დამუშავებული ალმასიც და ყველაზე პატარასასტამბო შრიფტიც. 106. ხერხემლისა და კიდურების დეფორმაციების შემსწავლელი მედიცინის დარგი. 107. ჭიდაობის ერთ-ერთი ფანდი. 108. ცნობილი სოფელი მარტვილის რაიონში. 109. დღემდე შემორჩენილი რუსული გვარი თბილისის ტოპონიმიკაში. 114. სპეციალურად მოყვანილი მწვანე მცენარი ჩახვნა ნიადაგის გასანაყოფიერებლად. 115. აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს ხუთკუთხა შენობა ქალაქ ვაშინგტონის მახლობლად. 116. რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა. 117. უილიამ შექსპირის „ქარიშხლის“ პერსონაჟი გრძნეული, კალიბანის დედა. 121. რაიდერ ჰაგარდის რომანის სათაურში დაფიქსირებული აცტეკების იმპერიის უკანასკნელი იმპერატორი. 122. რიგირ ევროპული ქვეყნების ვალუტა. 123. XX ს ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, ალბერ... 129. ატმოსფეროს ერთ-ერთი შრე. 130. შვეიცარიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. 131. მამაცი ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისება. 132. ვინ არის, ერთი იუმორისტის აზრით, მამაკაცი, რომელსაც ყოველთვის ახსოვს ქალის დაბადების დღე და არასოდეს ახსოვს მისი ასაკი? 137. უძველესი ქალაქი დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე, რომელსაც ადარებენ სანკტ-პეტერბურგს. 138. ხელოვნური ტყავი. 139. მონღოლთა მმართველი. 143. 80-იანი წწ იტალიელი ფეხბურთელი. 144. გეომეტრიული სხეული. 145. ვინ იყო სებასტიან კაბოტი ეროვნებით? 146. ავტომობილის ძრავის ასამოქმედებელი მოწყობილობა. 151. თანამედროვე იტალიელი ფეხბურთელი. 152. ვაჟასეული „ბახტრიონის“ პერსონაჟი. 153. ქალი, რომლის გულისათვისაც დაიწყო ტროას ომი. 154. იტალიელი ხელოვანი, რომლის მადონასაც იპარავენ პიტერ ოტული და ოდრი ჰეპბერნი ფილმში „როგორ მოვიპაროთ მილიონი“. 158. რაიონული დაქვემდებარების ქალაქი ახალციხის რაიონში. 159. ჭრიჭინას ნანადირევი. 160. ტროპიკული ხილი.

**შეადგინა**
**ვახო ელერდაშვილმა**



# საკროსვორდო ენციკლოპედია

**ბეისიკი** - პროგრამირების ენა.
**ბეი-სიტი** - ქალაქი აშშ-ს მიჩიგანის შტატში.
**ბეიტევეხი** ვილემ - XVII ს ჰოლანდიელი ფერმწერი.
**ბეიტსი** კეტ - ამერიკელი კინომსახიობი ქალი.
**ბეიტსი** ჰენრი უოლტერ - XIX ს ინგლ. ნატურალისტი.
**ბეიუსე** სირილ - XIX-XX სს ბელგიელი მწერალი, წერდა ფლამანდიურ ენაზე.
**ბეიშანი** - მთიანეთი ცენტრ. აზიაში (ჩინეთი).
**ბეიშეჰირი** - ტბა თურქეთში.
**ბეიძიანი** - მდ. სიძიანის მარცხ. მდგენელი (ჩინეთი).
**ბეიძინი** - ქალაქ პეკინის ჩინური სახელი.
**ბეიხაი** - ქალაქი ჩინეთის გუანდუნის პროვ.
**ბეიჯესულთანი** - მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი ანატოლიაში (თურქეთი).
**ბეიჰაკი** აბუ ლ-ფაზლ მუჰამედ იბნ ჰუსეინ - X-XI სს სპარსელი ისტორიკოსი.
**ბეკაბადი** - ქალაქი უზბეკეთის ტაშკენტის ოლქში.
**ბეკამი** - სოფელი ხაშურის რ
**ბეკარი** - სანოტო ნიშანი.
**ბეკარია** ჩეზარე მარკიზ დი - XVIII ს იტალიელი მეცნიერი იურისტი, პუბლიცისტი.
**ბეკასი** - ჭაობის ფრინველი.
**ბეკეკა** - პატარა თხა, ბატკანი.
**ბეკენბაუერი** ფრანც - მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი, გერმანია.
**ბეკერელი** ანტუან ანრი - XIX-XX სს ფრანგი ფიზიკოსი.
**ბეკერელი** - რადიოაქტიული იზოტოპებს აქტიურობის ერთეული.
**ბეკერი** ბორის - გერმანელი ჩოგბურთელი.
**ბეკერი** იოჰან ფილიპ - XIX ს გერმან. მუშათა მოძრაობის მოღვაწე.
**ბეკერი** კნუტ - XX ს დანიელი მწერალი.
**ბეკერი** ჟაკ - ფრანგი კინორეჟისორი.
**ბეკეტი** სემიუელ - XX ს ირლანდიელი მწერალი.
**ბეკეტი** ტომას - XII ს ინგლის. საეკლესიო და პოლიტ. მოღვაწე.
**ბეკეშა** - მამაკაცის ძველებური პალტო.
**ბეკეში** - მედიე უნგრეთის სამხრ.-აღმ. ნაწილში.
**ბეკეში** დიერდ ფონ - XX აშშ ფიზიკოსი, ფიზიოლოგი.
**ბეკეშჩაბა** - ქალაქი უნგრეთში.
**ბეკი** ალექსანდრე - XX ს რუსი მწერალი.
**ბეკი** კარლ - XIX ს ავსტრიელი პოეტი.
**ბეკი** - (მოძვ.) მცველი ფეხბურთში.
**ბეკინგემი** ჯორჯ ვილერზ - ჰერცოგი, XVII ს ინგლ. სახელმწ. მოღვაწე.
**ბეკლემიშევი** ვლადიმერ - XIX-XX სს რუსი მოქანდაკე.
**ბეკლზი** - ქალაქი დიდი ბრიტანეთის სუფოლკის საგრაფოში.
**ბეკლინი** არნოლდ - XIX ს შვეიცარიელი ფერმწერი.
**ბეკმანი** მაქს - გერმანელი მხატვარი გრაფიკოსი.
**ბეკმანი** ერნსტ ოტო - XIX-XX სს გერმანელი ქიმიკოსი.
**ბეკ-ნაზაროვი** ამო - სომეხი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი.
**ბეკნემი** - ქალაქი დიდი ბრიტანეთის კენტის საგრაფოში.
**ბეკოითი** ელიოზ - ოსი მწერალი.
**ბე-კომო** - ქალაქი კანადის კვებეკის პროვინციაში.
**ბეკონი** ნათანიელ - ფერმერთა აჯანყების ხელმძღვანელი ვირჯინიაში (XVIII ს).
**ბეკონი** როჯერ - XIII ს ინგლისელი ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი.
**ბეკონი** ფრანსის - XVI-XVII სს ინგლისელი ფილოსოფოსი.
**ბეკონი** - ღორის ხორცით დამზადებული პროდუქტი.
**ბეკროსი** - იგივე შეჯვარება.
**ბეკჰემი** დევიდ - ინგლისელი ფეხბურთელი.
**ბეკჰენდი** - დარტყმის სახეობა ჩოგბურთში.
**ბელა** - არპადების დინასტიის უნგრეთის ზოგი მეფის სახელი.
**ბელადი** - საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი საზოგადოებრივი მოძრაობისა, ხალხისა, ტომისა.
**ბელადონა** - მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე.
**ბელაია** - მდინარეების კამის და ყუბანის შენაკადების სახელი.
**ბელაია-კალიტვა** - ქალაქი რუსეთის როსტოვის ოლქში.
**ბელაია-ცერკოვი** - ქალაქი უკრაინის კიევის ოლქში.
**ბელაზური** - IX ს არაბი ისტორიკოსი.
**ბელამი** ედუარდ - XIX ს ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი.
**ბელანჟე** შარლ - XIX ს ფრანგი ნატურალისტი.
**ბელარუსფილმი** - მინსკის კინოსტუდია.
**ბელასიცა** - მთები ბულგარეთ-საბერძნეთ-მაკედონიის საზღვარზე.
**ბელატი** (კუთხ.) - იგივე მელოტი.
**ბელატრიქსი** - γ ორიონისა, მეორე ვარსკვლავიერი სიდიდის ვარსკვლავი.
**ბელაუნდე ტერი** ფერნანდო - XX ს პერუს სახელმწ. მოღვაწე.
**ბელაქანი** - ქალაქი აზერბაიჯანში.
**ბელაქნელი** ნიკოლოზ - ქართვ. მომღერალი, ტენორი.
**ბელაშოვა** ეკატერინე - XX ს რუსი მოქანდაკე.
**ბელგა** - ნიშან-სამკაული, რომელიც უნდა მიეტანა ვაჟს თავისი საცოლისათვის (დაწინდვა).
**ბელგაონი** (ბელგაუმი) - ქალაქი ინდოეთის სამხრ. ნაწილში.
**ბელგები** - ჩრდ. გალიაში მცხოვრები კელტური ტომები.
**ბელგია** - სახელმწიფო ევროპაში.
**ბელგოროდი** - ქალაქი რუსეთში.
**ბელგრადი** - იუგოსლავიის (სერბიის) დედაქალაქი.
**ბელგრანო** მანუელ - XVIII-XIX სს ესპანელთა ბატონობის წინააღმდეგ არგენტინელთა დაჯგუფების ლიდერი.
**ბელებეი** - ქალაქი რუსეთის ბაშკირეთის რესპუბლიკაში.
**ბელევი** - ქალაქი რუსეთის ტულის ოლქში.
**ბელეკონი** - იგივეა, რაც სკიპიდარი.
**ბელემნიტები** - ამომწყდარ ცხოველთა რიგი თავფეხიანთა კლასისა. ზღვის გადაშენებული მოლუსკები.
**ბელენი** (პარა) - ქალაქი ბრაზილიის ჩრდ. ნაწილში.
**ბელენჯერი** (ბალენჯარი) - შუა სს ქალაქი ჩრდ. კავკასიაში.
**ბელერზი** ჯონ - XVII-XVIII სს ინგლ. ეკონომისტი.
**ბელეროფონტი** - ძვ. ბერძნ. მითოლოგიაში ერთ-ერთი გმირი; პეგასზე ამხედრებულმა მოკლა ურჩხული ქიმერა
**ბელეტაჟი** - 1. მეორე სართული, რომელზედაც შედარებით მაღალი ოთახებია. 2. თეატრში: პირველი იარუსი ამფითეატრსა და ბენუარს ზევით.
**ბელეტრისტი** - პროზაიკოსი.
**ბელეტრისტიკა** - სხვადასხვა სახის პროზაულ ნაწარმოებთა საერთო სახელი.
**ბელეშა** - 1) უხეირო, უშნო, უსუფთაო. 2) რქებდახრილი მსხვილფეხა საქონელი.
**ბელეცკაია** ვერა - საქართველოს დამსახ. მხატვარი.
**ბელვედერი** - 1) შენობის დამაგვირგვინებელი კოშკურა. 2) ლამაზ ადგილას აგებული სასახლე.
**ბელზებელი** - 1. ძვ. ფინიკიელების ღვთაება. 2. ქრისტ. რელიგიაში: ავი სული, ეშმაკი.
**ბელზი** - ქალაქი უკრაინის ლვოვის ოლქში.
**ბელი** - დათვის ნაშიერი.
**ბელი** ალიგზანდერ - ტელეფონის ერთ-ერთი გამომგონებელი შოტლანდიიდან.
**ბელი** ანდრეი - XX ს რუსი მწერალი.
**ბელი** - ფარდობითი სიდიდის ლოგარითმული ერთეული.
**ბელი** ჯუზეპე ჯოაკინო - XIX ს იტალიელი პოეტი.
**ბელიაევი** ალექსანდრე - რუსი მწერალი-ფანტასტი.
**ბელიაკოვი** ალექსანდრე - ავიაციის გენ.-ლეიტენანტი, სსრკ გმირი.
**ბელიაუსკასი** ალფონსას - XX ს ლიტველი მწერალი.
**ბელიაშვილი** აკაკი - XX ს მწერალი-ბელეტრისტი.
**ბელიგანი** რადუ - კინოსა და თეატრის რუმინელი მსახიობი.
**ბელიზი** (ბრიტანეთის ჰონდურასი) - სახელმწიფო ცენტრ. ამერიკაში.

*ბ- 1302, ხულ - 5624*





**თარაზულად:** 1. რა ჰქვია პოლიგრაფიაში თვალით უხილავი წერტილების ან ხაზების ერთობლიობას რომლებიც ქმნიან გამოსახულებას? 6. ინდიელთა ეს „გამოგონება“ ინგლისურად ჟღერს როგორც - **Hammock**... როგორ ჟღერს ის ქართულად? 9. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი. 11. „მადამ ბოვარი“, „ბიუვარი და პეკიუშე“... აქ ნაგულისხმევი მწერლის კიდევ ერთი რომანი გაიხსენეთ. 12. ახალი ზელანდიის კუთვნილი არქიპელაგი წყნარი ოკეანის სამხრეთდასავლეთ ნაწილში. 13. „მადამის“ გვარი ფრანგი ფერმწერის, ჟაკ ლუი დავიდის ცნობილი ფერწერული ტილოდან (*შეგიძლიათ იხილოთ სურათიც*). 14. სახელგანთქმული რუსი ოქრომჭედელი და იუველირი, პეტერ კარლ... (1846-1920). 15. რბილტანიანთა ტიპის თავფეხიანი მოლუსკი. 16. სახლს მიშენებული ღია აივანი. 17. ვინ იყო მარკ ტვენისეული ინდიელი ჯო? 20. ათოსის როლის შემსრულებელი „სამი მუშკეტერის“ საბჭოურ ვარიანტში. 21. ცისფერყანწელთა საყვარელი ყვავილი. 24. სავაჭრო ან სამრეწველო მიზნებით გაერთიანებული ადამიანების ჯგუფი. 25. თხის ხმიანობა, ანუ რა? 28. საკურორტო ქალაქი იტალიაში, ნეაპოლის სიახლოვეს, სადაც დაბრუნებას ლამობენ ტენორები. 29. იაპონიის იმპერატორი 1926-1989 წლებში. 30. რუსეთის ახლანდელი თავკაცი. 31. *ივი* ამბობდა - „შორს იმიტომ ვიხედებოდი, რომ ბუმბერაზთა მხრებზე ვიდექიო...“ ხსენებული ბუმბერაზები გალილეო გალილეი და კრისტიან ჰიუგენსი იყვნენ, თქვენ *მისი* გვარი ჩაწერეთ. 32. საშუალება, რითაც ქალები მკერდს იდიდებენ (ხსენებული საშუალება არ იწვის და ამით, როგორც ამბობენ, დიდ პრობლემებს უქმნის კრემატორიუმის მუშაკებს). 36. ატოლი (მარჯნის კუნძული) სახელმწიფო კირიბატის შემადგენელ კუნძულთა ჯგუფში. 37. მგლის *რა* აღწერა ალექსანდრე იასაღაშვილმა საკუთარ რომანში? 40. პროვინცია და ავტონომიური ოლქი ესპანეთის ჩრდილოეთში, რომლის დედაქალაქიც სანტანდერი გახლავთ. 41. შუა სს სპარსი პოეტი, სპარსული ლიტერატურის კლასიკოსი. 44. ქალის კაბა, ღრმად ამოჭრილი გულით. 45. რუსული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი. 46. ბუდას თანამდევი ქალაქი. 47. ავსტრიის ფულის ერთეული. 48. ტბა კანადაში. 49. მცოცავღეროიანი მცენარე... ისხამს გრძელყელიან გოგრას, რომელსაც ჭურჭლად ხმარობენ.

**შვეულად:** 1. „ამერიკის ვენეციად“ წოდებული ატლანტის ოკეანისპირა ქალაქი ბრაზილიაში. 2. რაჭული წარმოშობის საზოგადოებრივი კვების ობიექტი. 3. XX ს გერმანელი მწერალი, ავტორი რომანებისა „შავი ობელისკი“, „ტრიუმფალური თაღი“, „სამი მეგობარი“ და ა.შ. 4. პოპულარული შოკოლადი, რომელიც ერთდროს სპონსორობას უწევდა რუსეთის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს. 5. ერთი ქიმიური ელემენტის ნათლია - ევროპული ქვეყანა. 6. ჟიულ ვერნისეული კაპიტანი. 7. ფორმულა 1-ის გათამაშებაში მონაწილე ერთ-ერთი გუნდი. 8. XVII ს მოღვაწე ესპანელი დრამატურგი და პოეტი, ესპანური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 9. ღრმა ადგილი მდინარეში, სადაც წყალი ტრიალებს. 10. ლევ ტოლსტოისეული „ომი და მშვიდობის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის გვარი. 17. კუნთების ანთება სამედიცინო ენაზე. 18. რა ერქვა პიანისტს, რომელიც უკრავდა მუნჯი ფილმის მსვლელობის დროს? 19. ნიკარაგუელთა ეროვნული გმირი. 21. „თავისუფალი ქვისმთლელი“, ანუ ვინ? 22. რა გააჩნია სპილოსაც და კოღოსაც? 23. შვეიცარიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. 25. იგივეა, რაც იფანი. 26. მოკლე მანძილზე სამოგზაურო პატარა გემი. 27. ძველი ასურეთის დედაქალაქი. 32. იაპონიის შემადგენელი ერთ-ერთი მთავარი კუნძულთაგანი. 33. ე.წ. სახაზო ხომალდი. 34. ქალაქი პოლონეთში. 35. აღმოსავლეთში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა. 37. შვილიშვილის შვილი. 38. მრუდი ხაზების გასატარებელი სახაზავი ინსტრუმენტი. 39. ელექტრული მუხტის საერთაშორისო ერთეული. 41. თავფეხიანი მოლუსკების გვარი, რომელსაც რუსები **Каракатица**-ს უწოდებენ. 42. გვამი, ცხედარი... კიდევ? 43. გურული ლიტერატურული კუტუზოვი.

## ყველაზე პოპულარული შოუ

*(დასასრული)*

- ფლორდის პალმ-ბიჩის 34 წლის მკვიდრმა რობერტ გელბმანმა სასამართლოში უჩივლა პროგრამის წამყვანსა და პროდიუსერს, ამხილა რა ისინი ტყუილში. დავა წარმოიშვა კითხვაზე, რაც 32 ათას დოლარად იყო შეფასებული - ზოდიაქოს რომელი ნიშანი იქნება უკანასკნელი, თუ თვლას უკნიდან დავიწყებთ?" გელბმანმა უპასუხა - „მერწყულიო", რაც პროგრამის ავტორებისა და ექსპერტების აზრით სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. მათი ვარიანტი იყო „თხის რქა". გელბმანი კი საკუთარი ვერსიის სიმართლეშია დარწმუნებული და ამტკიცებს, რომ პროგრამის პროდიუსერებმა არაკორექტულად დასვეს საკითხი და ამრიგად მას თამაშის გაგრძელების საშუალება მოუსპეს. „მე დამეკარგა ძილი და მოსვენება; ახლა ყველა ჩემი ფიქრი ამ ამბავს უტრიალებს და ჩემი ცხოვრების ძირითად მიზნად იქცა" - ამბობს რობერტ გელბმანი, რომელიც 2 მილიონ დოლარს ითხოვს პროდიუსერებისაგან მორალური და მატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ.

- გელბმანთან ერთად სასამართლოს მიმართა ნიუ-იორკელმა მასწავლებელმა პიტერ ლიბერტმაც, რომელიც შოუს მომწყობებს ამხელს იმაში, რომ მათ დაუკარგეს მას გარანტირებული 1 მილიონი დოლარი, რადგან პროგრამაში მონაწილეობის საშუალება არ მისცეს. საქმე იმაშია, რომ ბატონი ლიბერტი ყრუ გახლავთ. პროგრამაში მონაწილეთათვის წესები მთელ მსოფლიოში ყველასათვის საერთოა: პოტენციალური მონაწილე უნდა დაუკავშირდეს პროგრამას და პასუხი გასცეს კითხვებს. გარდა ამისა, ერთ-ერთი დახმარება - „ზარი ახლობელთან" - სმენადაქვეითებულ ადამიანს ასევე არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებდა შოუს სხვა მონაწილეებთან შედარებით. ერთი სიტყვით, სახეზეა ინვალიდი ადამიანის უფლებათა დისკრიმინაცია, რაც ამერიკელ ინვალიდთა შესახებ არსებულ კანონს არღვევს და რომელი კანონიც ჯერ არავის უარუყვია. თუმცა ბატონი ლიბერტი უფრო მოკრძალებული გახლავთ თავის საჩივარში და, რობერტ გელბმანისაგან განსხვავებით მხოლოდ 1 მილიონ დოლარს ითხოვს. ანუ - სწორედ ამდენ მოვიგებდი, შოუში მონაწილეობა რომ შემეძლოსო - ამბობს ნიუ-იორკელი მასწავლებელი.

- პირველი კანადელი მილიონერი კი ჯერ დიდხანს ვერ გამოჩნდება. ამის გარანტია გახლავთ საოცრად რთული კითხვები, რაზედაც უხდებათ პროგრამის მონაწილეებს პასუხის გაცემა. შესაძლოა, ეს სიმკაცრე აიხსნება იმით, რომ ტელეკომპანია CTV-მ, რომელიც პროგრამის კანადურ ვერსიას წარმართავს, გადაწყვიტა ყველა პრეტენზია გაეთვალისწინებინა, რაც საზოგადოებრივი აზრის მიერ აშშ-ს ტელეკომპანიების მიმართ იყო გამოთქმული. თითქმის ორი წლის განმავლობაში CTV კანადელებისათვის ვიქტორინის ამერიკული ვერსიის ტრანსლირებას ახდენდა. შოუ დიდი წარმატებით სარგებლობდა, თუმცა კანადელ მაყურებელს კითხვების საოცარი სიმარტივე აღაშფოთებდა. და აი, როცა 2000 წლის სექტემბერში CTV-მ გადაწყვიტა პროგრამის კანადური ვერსიაც შეექმნა, ტელემაყურებლებმა მიშინვე იგრძნეს სხვაობა. კანადაში ასეთ კითხვებს უსვამდნენ კონკურსანტებს - რა ერქვა საღვეზელეს ფილმში Wayne's World"?, ან რა ეწერა იმ ტორტზე, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ჟან კრეტიენს სახეში ესროლა?" თვით „მოსათელი" კითხვებიც კი საკმაო სირთულის გათვალისწინებიტ იქმნება; აბა, რომელი მონაწილე გაიხსენებს ერთ წუთში - აღშფოთებას ვერ მალავენ კანადელები - თუ რა ფერისაა ჰოკეის ეროვნული ლიგის ლოგოტიპი ან რომელი საავტომობილო კორპორაცია იყენებს სარეკლამო სლოგანს - „გვჭირდება მძღოლები?". სულ რაღაც 8 ათასი დოლარის ღირებულების კითხვა კი დაახლოებით ასე ჟღერს - რომელ ქალაქში მიმდინარეობს ბრიტანული სერიალის Coronation Street-ის მოქმედება?!". ასე რომ, პოტენციალური კანადელი მილიონერი ჭეშმარიტად უფართოეს ერუდიციას უნდა ფლობდეს. ჯერჯერობით რეკორდსმენად ითვლება კვებეკის მკვიდრი ფრანსუა დომინიკ ლარამე, რომელმაც 125 ათასი დოლარის ღირებულების კითხვამდე მიაღწია, თუმცა ამ სიმაღლის დაძლევა მან ვერ მოახერხა. მას ასეთი კითხვა დაუსვეს - „სად შეიძლება აღმოვაჩინოთ ოგოპონგო?" გაეცნო რა შესაძლებელ პასუხებს (ტბები შამპლენი, ტობინი, ოკანაგანი, ოკეფენოკი), ბატონმა ლარამემ გადაწყვიტა უკვე მოგებული 64 000 კანადური დოლარი აეღო. გაზეთებმა კი სათანადოდ დააფასეს როგორც მისი გონიერება, ასევე წინდახედულება. სხვათა შორის, ბატონ ლარამეს ინგლისური ენა შესწავლილი აქვს მხოლოდ სკოლის სასწავლო პროგრამით და მას აზრადაც არ მოსვლია სასამართლოში ჩივილი იმისა გამო, რომ პროგრამის წამყვანი მას ინგლისურად ესაუბრებოდა.

- ინდოელებისათვის კი ძნელი გახდა ისეთ მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემაც კი, როგორიცაა, ვთქვათ - „რამდენი წლის ბრძანდებით?" ან „რა გვარის ხართ?" - რადგან ყოველ პასუხზე აუცილებლად ისმის წამყვანის რეპლიკა - „დარწმუნებული ხართ?" ეს ფრაზა მთელ ინდოეთში მოარულ ხუმრობადაც კი იქცა, რადგან აღნიშნულ პროგრამას საკმაოდ დიდი პოპულარობა აქვს მოპოვებული ამ ქვეყანაში; მას კერძო ტელეკომპანია Star TV წარმართავს და ჰქვია Kaun Banega Crorepati („ვინ გახდება 10 მილიონის მფლობელი"). ამ პროგრამაში უცხოელებს მონაწილეობა არ შეუძლიათ, რადგან ის ჰინდი ენაზე მიმდინარეობს და ინდური მითოლოგიის ფენომენალურ ცოდნას მოითხოვს. ჯერჯერობით ინდოეთში 10 მილიონი რუპია (დაახლ. 300 000 დოლარი) არავის მოუგია; თუმცა მთელი ქვეყანა იცნობს ადამიანს, რომელმაც ყველაზე დიდი თანხა - 42 000 დოლარი - მოიგო უპასუხა რა კითხვაზე - „მონღოლ იმპერატორთაგან ვინ გადასცა ისტ-ინდის კომპანიას ბენგალია, ბიჰარი და ორისი?" (პასუხი - შაჰ-ალამი). თუმცა ინდოელებს ამ პროგრამაში მონაწილეობა უნდათ არადიდი მოგების მიღებისათვის. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ პროგრამაში მონაწილეობის მთავრი სტიმული არის შესაძლებლობა იმისა, რომ კონკურსანტი შეხვდება პროგრამის წამყვანს, ცნობილ ინდოელ მსახიობს ამიტაბაჰ ბაჩანს, რომელსაც ინდოელები ყველა გამოკითხვასა და ცნობარში ინდოეთის ყველა დროისა და ხალხების უდიდეს მსახიობად მოიხსენიებენ.

**პუბლიკაცია მომზადდა ამერიკულ-რუსული ინტერნეტული ჟურნალის „კურიერ-ექსპრესის"-ის მასალების მიხედვით**

## უნგრული ფოტოკროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ი | ლ | ი | ვ | ბ | ე | ა | ი | ც | ა | ტ | ი | პ | ხ | ო |
| ა | რ | ა | შ | ა | ნ | ე | ვ | ი | მ | ე | დ | ფ | ე | ს |
| ხ | ი | კ | ს | ნ | ი | ო | ჩ | რ | ე | ფ | ი | ა | ჩ | ლ |
| ა | მ | ი | ვ | ე | შ | მ | ე | ჩ | ა | ი | კ | ა | ვ | ო |
| ბ | ყ | ბ | ე | ტ | ი | ნ | რ | | | | | | | |
| ე | ვ | ა | ვ | ს | ი | რ | ბ | | | | | | | |
| რ | ე | ტ | ი | უ | ლ | ი | ა | | | | | | | |
| ს | ჩ | ი | ლ | ე | დ | ე | კ | | | | | | | |
| ა | ა | ნ | ი | თ | ტ | ა | კ | | | | | | | |
| ფ | ე | ჩ | ი | ნ | ა | რ | ე | დ | ვ | ი | ჟ | ი | ზ | ი |
| ი | ხ | ძ | ნ | ა | თ | ე | ი | ს | ე | ფ | ნ | ნ | ე | დ |
| ბ | უ | ე | რ | ი | ა | პ | ო | პ | რ | ო | ი | ლ | რ | ე |
| ე | რ | ბ | ო | ვ | გ | ი | ნ | ი | ბ | ე | კ | ე | პ | ნ |
| ო | კ | ა | ნ | ა | ი | ლ | ა | უ | შ | ი | ნ | დ | ი | ტ |
| ტ | ე | ტ | ი | შ | ვ | ი | ლ | გ | უ | ო | რ | ე | ნ | ი |




1. **იხილეთ ფოტო №1** და თავად მიხვდებით, რა სიტყვაც უნდა მოძებნოთ კროსვორდის ბადეში.
2. თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე ანუ?
3. **იხილეთ ფოტო №2** და ამ მსახიობის გვარი გაიხსენეთ.
4. **იხილეთ ფოტო №3** ... რა ჰქვია ასეთ თავსაბურავს?
5. უცხოური სიგარეტი, რომელსაც მეტად „საუფროსო" სახელი ჰქვია.
6. **იხილეთ ფოტო №4** ... და გაიხსენეთ, რა ჰქვია ამგვარ ყოფას?
7. **იხილეთ ფოტო №5** ... ამ კანადელი ტოპ-მოდელის გვარის გახსენება არ გაგიჭირდებათ, თუ ინტერსით ეცნობოდით ჩვენს რუბრიკას - „ტოპ-მოდელების სამყაროში"
8. შალვა დადიანის პიესა, რომელიც რუსთაველის თეატრში 70-იან წლებში დაიდგა.
9. ცნობილი ქართველი ფოლკლორისტი და აღმოსავლური პოეზიის მთარგმნელი.
10. რა ჰქვია პარფიუმერიას ძირეულქართულად?
11. აწ უკვე დაშლილი ერთ-ერთი პოსტკომუნისტური სახელმწიფო.
12. მეამბოხეთა სახელით შესული პერსონაჟები რუსეთის ისტორიაში.
13. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, რომლის თხზულებათა ტომსაც გამწარებით ითხოვდა დუმბაძისეული პატიმარი.
14. ჰენრიკ იბსენის პიესა, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში 70-იან წლებში დაიდგა.
15. გვარი ჩვენი კინოს ყველაზე ცნობილი მეომარი პერსონაჟისა.
16. რუს მხატვართა გაერთიანება XIX-XX სს ზღვარზე.
17. **იხილეთ ფოტო №6** ... ამჯერად ჩვენ და თქვენ ბრიტნი სპირსი კი არა არქიტექტურული ელემენტები გვაინტერესებს.
18. **იხილეთ ფოტო №7** ... რა თამაში შეგიძლიათ გაიხსენოთ?
19. **იხილეთ ფოტო №8** და თავად მიხვდებით, რა სიტყვაც უნდა მოძებნოთ კროსვორდის ბადეში.





















ალექსანდრე
მტევანფარფლიანი
„სოფლის პატიოსნება“
იტალიის გუნდი
ძველი თოფი

„ლეგოს“ პროდუქცია
დურგლის ხელსაწყო
„ტრიუმფალური თაღის“ პერსონ.
მდინარეს აქვს
(.....) კონორი
უკიდურესი ნაციონალიზმი
ცივი იარაღი
აშშ-ელი მწერალი, პარპერ ......
არ ჭამო!
მშვიდობის მომტანი
რუსი კოსმონავტი
სიტყვის კონა
რაიმეს საფეხური
სუიტის ნაწილი
ძვ.ბერძ. თეატრის ნაწილი
....მაიოლი
ორთქლმავლის გამომგონებელი
ტარიელის მამა
მანაგუა
„ადიდასი“ და...
ორი ერთად
ალიონის ფრინველი
ავსტრალიური იარაღი
მერი პოპინსი პროფესიით
ალ.ტოლსტოის რომანი
სკოლაშია...
სამეული, ანუ...
თბილისის მაღაზია
უპირატესობა
ოპერა „კარმენის“ ავტორი
პეტროვის კოლეგა
იგივე ბალი
პატარა ნაპრალი
ფრანგი უტოპისტი
ქალის სახელი
უჯრედის ნაწილი
დანტესის მასწავლ.
ბაჟზა
გამხდარი და ტანწერილი, ანუ...
მაშ გაალეთ კარი ჩქარა, ისე როგორც...
„ცრემლებიანი“ ქვეწარმავალი
(.....) ადამსი
რუსი ფეხბურთელი
XIX ს ნიკარაგუელი პოეტი
დას. სამოას დედაქალაქი
ილიას მეგობარი, არტურ...
პუშკინის გრძნეული პერსონ.
მცირე
მარჯნის კუნძული
ებრაელების რეპატრიაცია
მიკროპროცესორებს აწარმოებს
ცნობილი ჩანჩქერი
ტროის ქურუმი
„იდიოტის“ პერსონაჟ.
თუთიყუში
ხორვატი ფეხბურთ.
კრისტოფერი
რაჭის ცენტრი



(......) ლარინა

ჩაპაევის ქალი
მუს. ტემპი
წარსულის ბრაზილიელი ფეხბურთ.
...... სოვეტოვი
ბალეტის ილეთი
წონის საზომი ერთეული
ოთხი ფრანგულად
ერთ-ერთი ევროპ. ვალუტა
მაღალხარისხოვანი მინა
უთვალავი
არტემიდე რომში
ნილსის მეგობარი არსება
......-ძი, ჩინელი ფილოსოფოსი
ფრანგი მომღერალი ქალი
ბელგიელი მევიოლინე
დიდი ჯამი
ტიბეტური ხარი
ფრანგი ერეკლე
მრგვალი რიცხვი
XVIII ს ფრანგი ფიზიკ. სადი...
ძვ.ბერძნული მოედანი
(.....) ამაღლობელი
„...... ვოსტოკა“
„მარადისობის კანონის“ პერსონ.
კვერცხის ბურთით მოთამაშე
ჩვენი ტბა
დას.ქართველი
საერთ. ჯარი
სალირსო სიტყვა
სარიშვილი
გენია

- სალაშქრო ჭურჭელი / მათემატიკური ფესვი
- ილიას მეგობარი / ინგლისის წვრილი ფული
- ცელოფანში ჩასმა
- რედაქციის თანამშრომელი
- ტროპოპოლსკის ქალი
- ბაბაშვილი
- ვოლგას ერთვის
- ჩვენი ტბა ბაგრატ / III
- ინანიშვილის მოთხრობა
- ღვინის ჭურჭელი
- X+Y / ფრანგი ფეხბურთელი
- კათოლიკური საგალობელი
- კრისტინას დედა / მოსაშვილი
- ტაილანდელი / პატარა ზარი
- ბერის სენაკი / ზუზუნებს
- ტკბილხმოვანი / (...) დიასამიძე
- წყლის თვისება
- რუსული სატვირთო თვითმფრინავი
- იხილეთ მე-13 გვერდი
- STOP!
- ქვეშევრდომი ფეოდალი
- ტაბატაძე
- ხმა
- ძვ.ბრაზილიელი ფეხბურთ. / ვიტი
- კვიცი
- ფრანგი კომპოზიტ. / მუს.ინსტრუმენტი
- ბურთი მომაწოდე!
- (.....) ბრონტე / ლიანის თვისება
- „ულტრა" ტალღის ფერი
- ძვირ-ფასი მინა
- ფროიდს ერქვა / ასოები / ELSEVE
- გადასაზიდი საშუალება
- პაუზა
- ფრანგთა მდინარე / გერმანიის რეგიონი
- დ'არტანიანის სამშობლო
- ერთგვარი წყალმცენარე
- ქალაქი რაჭაში / ოპტიკური ხელსაწყო
- ცხენის ინვენტარი
- ევროპის ქვეყანა / BACK
- ფრანგი რევოლუციონერი
- მათემატიკური ცხრილი
- სიგრძის ძველი საზომი
- შემოსასვლელი, ფოიე
- მამრობითი სქესის
- ჰეკლბერი ფინის მეგობარი
- ჯოხი / ვა-ბანკი
- აფრიკის ქვეყანა
- შეჯიბრების დასასრული
- კოლუმბის „ინდოეთი"
- დადგენილი წესი
- ძველი ეგვიპტის შეფი / კომში
- „უკანასკნელი..." / გერდას ძმობილი
- ხმა გავარდა
- მულტიპლიკაცია
- ვიმყოფები / ფრენა
- ბიბლიური პერსონაჟი
- ფრანგი მეკარე
- არმიის სპორტული კლუბი
- შორენას შვილი / აშშ მსახიობი
- სტალონეს მოკლე სახელი
- მდინარე სამხ. ამერიკაში / კითხვა
- „ .... ჭკუისაგან"
- ფრანგი მსახიობი ქალი
- ღარი / ყოფ. პარლამენტის შენობა
- დიდი გველი / „ნაუტილუსი"
- ვალერი მელაძის ბოშა ქალი
- ღვინის საწყობი / მოუხარშავი
- ქვეყანა ოკეანეთში
- აზიის ისტორიული რეგიონი
- ერთ-ერთი დიდად შესარგი
- ძილისპირული, იავნანა
- საფრანგ.-ესპანეთის რეგიონი
- აფრიკის კუნძულები / სამოთხე
- პომორიტი / ქალაქი პორტი ესპანეთში
- ციებცხელება / ტბა ავსტრალიაში
- ლაოსის მკვიდრი მოსახლე
- აშშ-ს შტატი
- სასიმინდე
- უფერული აქროლადი სითხე
- პირველი ანბანში
- რუსეთ-იაპონიის ბრძოლის ადგილი

# შევერკინოთ ერთმანეთს?! – პირველი ტური



**თარაზულად**: 1. ამ თანამედროვე აფრიკული ქვეყნის ტერიტორიაზე მე-5 საუკუნიდან მე-16-ს ჩათვლით არსებობდა ქრისტიანული სამეფოები: მუკურა, ალოა, ნობათია და ნუბია. 4. მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერის პირადი მრჩეველი, რეიხსმინისტრი, ფიურერის საფინანსო საქმეების განმგებელი, რომელიც მესამე რეიხის დაცემისთანავე საიდუმლო ვითარებაში გაუჩინარდა. 7. ირანის შაჰი 1502-1524 წწ., სეფევიდების დინასტიის დამაარსებელი; მხედართმთავარი და პოეტი (წერდა ფსევდონიმით ხატაი, ეკუთვნის პოემები: „ათი წერილი“ და „დარიგებათა წიგნი“). 13. სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი 1939-49 და 1953-56 წწ., ხოლო 1957-60 წლებში საბჭოთა კავშირის ელჩი მონღოლეთში. 14. ამერიკელი განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთ-ერთი შემდგენელი, მეცნიერი, რომელმაც შეიმუშავა შტორმული ქარების წარმოშობის თეორია და 1752 წელს გამოიგონა მეხამრიდი. 15. პეტრე პირველისა და ფრანკთა მეფის კარლოსის მოსახსენიებელი ზედსართავი სახელი. 18. ერთ-ერთი პოსტსაბჭოური ქვეყნის დედაქალაქი, რომელიც დაარსებულ იქნა 1201 წელს ეპისკოპოს ალბერტ ფონ აპელდერნის მიერ. 19. თანამედროვე რუმინეთის ტერიტორიაზე არსებული სათავადო. 20. დიდი რომაელი მხედართმთავარი, რომელსაც, გადმოცემით, ჩვ. წ. აღ-მდე 146 წლის გაზაფხულს კართაგენის აღებისას უყურებდა რა, თუ როგორ იწვოდა ცნობილი სიმაგრე ბირსა, ტირილით აღმოხდა ჰომეროსის სიტყვები: „იქნება დღე და დაიღუპება წმინდა ტროა...“ 23. ინდიელისა და თეთრკანიანის შთამომავალი. 24. გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, გფრ-ის ფედერალური კანცლერი 1949-63 წწ. 25. 1191 წელს ზარინჰენელი ჰერცოგების მიერ ნეიტრალურ ტერიტორიაზე დაარსებული ქალაქი, რომელიც მიზნად ისახავda ალემანთა და ბურგუნდების დაშოშმინებას. 1848 წლიდან კი ეს ქალაქი ერთერთი ევროპული



სახელმწიფოს დედაქალაქია. 29. სრუტე, რომლის სახელწოდებაც ბერძნულიდან ითარგმნება როგორც „ხარის ფონი“, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ჰერას მიერ დევნილმა და ძროხად გადაქცეულმა ნიმფა იომ სწორედ იქ გადალახა ზღვა. 30. ორგანული წარმოშობის ეს ძვირფასი ქვა შუა საუკუნეების ევროპაში ხშირად ალმასზე ძვირად ფასობდა. 34. აშშ-ს შტატი რომელიც ერთერთი პირველი შეუერთდა იმ 13 შტატს, რომლებმაც დაარსეს ეს ქვეყანა.

35. (***პირველი საპრიზო კითხვა***) ორგანული წარმოშობის ძვირფასი ქვა, რომლის სახელიც ბერძნულად ჟღერს როგორც „ელექტრონი“, ხოლო რუსული ინტერპრეტაცია მიღებულია ლიტვური სიტყვიდან **gintaras.**

36. სიტყვა, რომლითაც შეგვიძლია დავახასიათოთ გიორგი სააკაძე, და რომელიც წარმოდგება ბერძნულიდან და „თანამემამულეს“ ნიშნავს. 40. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე მთის, გისარლიყის, გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქალაქი.

41. (***მეორე საპრიზო კითხვა***) 1963 წლის 22 ნოემბერს მომხდარი მკვლელობის შემსრულებელი.

42. (***მესამე საპრიზო კითხვა***) შუა საუკუნეების ევროპაში საერო თანამდებობა საეკლესიო მამულში, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ადმინისტრაციული, სასამართლო და ფისკალური ფუნქციები.

43. მდინარე, რომელიც თარაზულად 19-ში ნახსენებ ტერიტორიას ორ ნაწილად ყოფდა: ოლტენიად და მუნტენიად. 47. ძველი ხალხური თქმულებები სამყაროს წარმოშობასა და სიცოცხლის შექმნაზე.

48. (***მეოთხე საპრიზო კითხვა***) ძველი რომაელი მბრძანებლის - სერვიუს ტულიუსის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული უღარიბესი და უუფლებო სოციალური ფენა, რომელმაც მე-19 საუკუნეში ახალი მნიშვნელობა შეიძინა.

49. კონცხი სამხრეთ ამერიკაში, რომლის აღმოჩენა დაკავშირებულია ფრენსის დრეიკის სახელთან.

53. (***მეხუთე საპრიზო კითხვა***) არაბების მიერ ესპანეთის ოკუპაციის დროს, იქაური ებრაული დიასპორის ერთერთი აღიარებული ლიდერი და მეცენატი; ჩვენამდე შემორჩენილია მისი წერილი ხაზართა ხაკანთან, რომელშიც იგი უდიდეს სიხარულს გამოხატავს იმ ფაქტთან, რომ ხაზარებმა იუდაიზმი მიიღეს.

54. ქვეყანა სამხრეთ ნახევარსფეროში, სადაც მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მთელი ევროპიდან ჩაჰყავდათ პატიმრები, რათა იქაურ ჰავას თავისი საოცარი თვისებებით შეეცვალა მათი აზროვნება. 58. თავდაპირველად ამ ტერმინით მოიხსენიებოდნენ თაბორიტების ჯარის უფროსი; შემდეგ უკრაინაში ამ წოდებით სარგებლობდნენ კაზაკთა წინამძღოლები. 59. ქალაქი სადაც მდებარეობს ჰო ში მინის მავზოლეუმი. 60. მე-19 საუკუნეში საქართველოში რუსეთის მეფისნაცვალი, რომლის სახელიც შემდგომში ახლანდელ რუსთაველის პროსპექტს ეწოდა. 64. მეცნიერთა მტკიცებით, ინდიელთა ყველა ტომის ისტორიული სამშობლო. 65. რუსეთის მეფე ნიკოლოზ I რწმუნებული, კავალერიის გენერალი, დეკაბრისტთა აჯანყების ჩახშობის ერთერთი ხელმძღვანელი, ალექსანდრ პუშკინის თხზულებათა ცენზორი, რის გამოც ამ უკანასკნელისგან სიძულვილი დაიმსახურა. 66. ბუნებრივი მოვლენა, რომელმაც თავის პირველ მოგზაურობაში უდიდესი პრობლემები შეუქმნა კოლუმბს. 67. ბერძენი მწერლის არიანეს თხზულება, რომელშიც აღწერილია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა. 68. ამაზონის წყლებში მობინადრე არსება, რომლის მსხევრპლიც შეიქმნა მისივე პირველივე მკვლევარი.

69. (***მეექვსე საპრიზო კითხვა***) გმირად შერაცხული როდრიგო დიას დე ვივარის მეტსახელი (მისი როლის შემსრულებელი მსახიობის ფოტოც აქვე გთავაზობთ).

**შვეულად**: 1. ჩვ. წ. აღ-მდე მე-9 საუკუნეში მოღვაწე ასურეთის დედოფალი, რომელსაც შეცდომით მიაწერენ ერთ-ერთი საოცრების - დაკიდული ბაღების გაშენებას, რაც ჩვ. წ. აღ-მდე მე-6 საუკუნით თარიღდება. 2. ძველ რომში (და ახლაც) ამ სიტყვით მოიხსენიებენ რაიმე კრებაზე წარგზავნილს. 3. 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ჩამოყალიბებული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის შტაბ-ბინაც ბრიუსელში მდებარეობს. 5. საბერძნეთში მდებარე დასახლება, რომლის მახლობლადაც ჩვ. წ. აღ-მდე 490 წელს გაიმართა შემდგომში თავისი „სპორტული მნიშვნელობის“ მქონე ბრძოლა ბერძნებსა და სპარსელებს შორის. 6. ქართლში ქრისტიანობის გამავრცელებელი მეფე მირიანის ცოლი. 8. ქალაქი თურქეთში შავი ზღვის სანაპიროზე, რომლის მახლობლადაც 1853 წელს ადმირალმა ნახიმოვმა თურქული ესკადრა გაანადგურა. 9. თომას ჯეფერსონის პრეზიდენტობის ხანაში ფრანგებისგან შესყიდული ტერიტორია, სადაც ახლა რამოდენიმე შტატი მდებარეობს და ერთი მათგანი ანალოგიურ სახელს ატარებს. 10. ქართლის მეფის - ფარსმან II-ის მეტსახელი.

11. (***მეშვიდე საპრიზო კითხვა***) ნაცისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმართული „ელვისებური ომი“.

12. ბორცვი იერუსალიმში, რომელზედაც იდგა მეფე დავითის სასახლე. 16. იგივე კავალერისტი. 17. ნორმანების მიერ აშენებული ერთერთი პირველი ციხე-სიმაგრე ინგლისში, რომლის სახელი ჩვენთან ჯეინ ეარის მიჯნურთან ასოცირდება.

21. (***მერვე საპრიზო კითხვა***) ის, რისი ცოდნაც აუცილებელია ამ კროსვორდის შესავსებად.

22. საბჭოთა არმიის გენერალ-მაიორი, რუსეთის ერთერთი რესპუბლიკის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი (აქვეა წარმოდგენილი მისი პატარა ფოტოც.). 26. ეგვიპტის მთავარი ღირშესანიშნაობა, რომლის დანგრევის სურვილი ჰქონდა ნაპოლეონს. 27. ერთერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ყოფილი დედაქალაქი, რომლის სახელწოდებაც ითარგმნება როგორც „მამა ვაშლი“.

28. (***მეცხრე საპრიზო კითხვა***) ძველ რომში არსებული ქვეითთა ჯარი.

31. ქვეყანა, რომლისკენაც ეძებდა გზას კოლუმბი. 32. ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული თივისა და პაპირუსისგან დამზადებული ფეხსაცმელი. 33. თამარ მეფის მეორე მეუღლე. 37. სასამართლო-აღმასრულებელი ხელისუფლების მქონე კაზაკთა მეთაური. 38. ქართველ მეფეთა შორის გავრცელებული სახელი. 39. დიდი ბერძენი, რომლის მიმართაც გამოტანილი საბრალდებო დასკვნა ასე ჟღერდა: „(მას) ბრალი უდევს სახელმწიფოს მიერ დაკანონებული ღმერთების არცნობაში, ახალი ღვთაებების შემოტანაში და ახალგაზრდობის გარყვნაში“. 44. ბიბლიის მიხედვით ებრაელთა მამამთავარი. 45. რუსეთისთვის სტრატეგიული დანიშნულების მქონე ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიაში. 46. ძველი ბერძნების წარმოდგენით ცისა და დედამიწის შეერთება-გაერთიანების ადგილი. 50. დიდი რუსი მეზღვაური, 1829-35 წწ. ამერიკის ტერიტორიაზე არსებული დასახლებების განმგებელი. 51. კარიბის აუზში მობინადრე ინდიელთა ენიდან შემოტანილი სახელწოდება ერთგვარი ვიწრო ნავისა. 52. ცნობილი რუსი მოგზაური, რომელსაც ეკუთვნის ჩანაწერები „**Хождение за три моря**“. 55. ჩვ. წ. აღ-მდე 730 წელს ბერძნების მიერ დაარსებული ქალაქი სიცილიაზე.



56. (***მეათე საპრიზო კითხვა***) მდინარე, რომელიც პარიზში უერთდება სენას.

57. ბუნებრივი დაბრკოლება, რომელიც ხელს უწყობდა ვიკინგებს თავდაცვაში. 61. აღმოსავლეთის ქვეყნების მმართველთა ტიტული. 62. ინგლისურენოვან ქვეყნებში გავრცელებული ფართობის საზომი ერთეული. 63. ჯინსის ნაჭრისგან დამზადებული ნაწილი კოლუმბის ხომალდებისა.

ი შეადგინა გოგა ტარიელაშვილმა

# 12 საპრემიო კითხვა

1) ეს გასაოცარი ცხოველი გამოგონილ იქნა სტენფორდის კვლევით ინსტიტუტში 1968 წელს და მის „მამად“ დუგ ენგელბარტი გვევლინება, რომელმაც ამ გამოგონებისათვის 10 000 დოლარი მიიღო ჰონორარის სახით. ამ რამოდენიმე წლის წინ კი, გამოგონებიდან 30 წლის შემდეგ, მან ლემელსონ-მიტის პრიზიც დაიმსახურა (დაახლ. 500 ათასი დოლარი), რომელიც ყოველწლიურად გადაეცემათ გამომგონებლებს ნოვატორობისათვის. ენგელბარტის ცხოველი დღესდღეობით გვევლინება გარკვეული კატეგორიის ადამიანების მუდმივ თანამგზავრად და ამ ადამიანებს, შეიძლება ითქვას, ცხოვრებასაც კი ულამაზებს... რომელ „ცხოველზეა“ საუბარი?

2) ფრანგები ამ მდგომარეობას უწოდებენ - **guele de bois** (ხის სიფათი), გერმანელები - **Katzenjammer** (კატის ტირილი), ნორვეგიელები - **jeg har tommermenn** (დურგლები თავში)... რას ვუწოდებთ ამ მდგომარეობას ჩვენ?

3) 1943 წელს ნილს ბორი, გარბოდა რა ოკუპანტებისაგან, იძულებული შეიქნა დაეტოვებინა კოპენჰაგენი. მან, არ გარისკა რა, თან წაელო ერთი მეტად ძვირფასი ნივთი, ხსენებული ნივთი გახსნა „სამეფო არაყში“ და კოლბა ლაბორატორიაში დატოვა. დაბრუნდა რა სამშობლოში, დანიის გათავისუფლების შემდეგ, ხსნარიდან გამოყო ის, რაც გააზავა და ამის შემდეგ მისი შეკვეთით ხსენებული ნივთი ხელახლა გააკეთეს... რა გააკეთეს?

4) ამბობენ, ერთხელ რომის იმპერტარომა კალიგულამ გასცა ბრძანება შეეგროვებინათ ზღვის სანაპიროზე ყველა ნიჟარა... რისთვის?

5) XVIII საუკუნეში კოლუმბიის მდინარეებში ოქროს მრეცხავმა კონკისტადორებმა აღმოაჩინეს მძიმე, თეთრი ლითონი, რომელიც გადადნობას არ ექვემდებარებოდა. უმეცარმა ოქროსმაძიებლებმა ჩათვალეს ეს ლითონი უსარგებლო მინარევად და უწოდეს მას „ვერცხლუკა“, ან რაღაც ამის მსგავსი, თუმცა მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ხსენებული „ვერცხლუკა“ ვერცხლზე გაცილებით ძვირად ფასობს... რომელ ლითონზეა საუბარი?

6) აშშ-ს ზოგიერთ შტატში, ერთი ქმედების ჩადენისას ხელმოცარულებს, სისხლის სამართლებრივი კანონით სჯიან და ამ ქმედების წარმატებით დამგვირგვინებლებს არასოდეს არ სჯიან... რომელ დანაშაულზეა საუბარი?

7) სხვადასხვა ჯურის ხალხი მას სხვადასხვა სახელს უწოდებს. ასე მაგალითად: ტაჯიკურ ენაზე ის ჟღერს როგორც „ქლაწვერიანი ბაბუა“, ინგლისურად - „ლედი-ხოჭო“. ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, პანამაში, პერუში და ვენესუელაში მას ღვთისმშობელ მარიამთან აკავშირებენ, არგენტინაში კი - წმინდა ანტონიუსთან... რას ვუწოდებთ მას ჩვენ?

8) პოლონეთის მეფის, სტანისლავის კარზე ცხოვრობდა კაცი, რომელიც ისე ცუდად ლაპარაკობდა ფრანგულად, რომ ხშირად მის მიერ ნათქვამ ფრაზებში ორაზროვნება გამოსჭვიოდა ხოლმე. ერთ-ერთმა ქალბატონმა შეადგინა ამ კარისკაცის მიერ წარმოთქმული ორაზროვნებების ლექსიკონი და პარიზში ყოფნისას ართობდა საფრანგეთის დედოფალს. სწორედ ამის შემდეგ საფრანგეთის სამეფო კარზე წამოვიდა მოდა, რომ ყველანაირი ორაზროვნად ნათქვამი ფრაზისათვის ხსენებული პოლონელი კარისკაცის სახელი ეწოდებინათ... რა გვარი იყო იგი?

9) 1909 წელს ერთმა თურქმა ასტრონომმა, ტელესკოპით უმზერდა რა ცის მიღმიერ სივრცეებს, აღმოაჩინა ციური სხეული და უწოდა მას სახელი - „**B**-612“. ეს აღმოჩენა მისმა თანამედროვეებმა მაშინვე არ სცნეს და მხოლოდ 14 წლის შემდეგ შეიტყვეს ადამიანებმა ამ ციური სხეულის სამეფო წარმომადგენლის არსებობის შესახებ... რომელ სამეფო წარმომადგენელზეა საუბარი?

10) არისტოტელეს მხედველობაში ჰქონდა რა ადამიანის ეს ორგანო ამბობდა: „ის განსაკუთრებული ჯირკვალია, რომლის დანიშნულებაც ლორწოს გამომუშავებაა, რათა გული გადამეტებული სითბოს გამომუშავებისაგან დაიცვასო“... რა ჰქონდა მხედველობაში არისტოტელეს?

11) რა არის ფრანგი მწერლის, პოლ დაკურსელის აზრით სიმდიდრის ქალიშვილი და სიღარიბის დედა?

12) 1994 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩის დროს, რომელშიც მექსიკის ნაკრები ხვდებოდა ბულგარეთის ნაკრებს მოხდა ცვლილება. როგორც იცით, ცვლილებებს ხშირად იყენებენ დაწინაურებული გუნდის მწვრთნელები დროის გაყვანის მიზნით. ამ არასპორტული ხერხის საშუალებით გუნდმა შეიძლება მოიგოს 1-2 წუთი. მაგრამ ცვლილება, რომელიც მოხდა ხსენებული მატჩის დროს, გრძელდებოდა დაახლოებით 10 წუთი... რა იყო ამის მიზეზი?

**– ვიწყებთ ახალ საკროსვორდო ტურნირს, რაც გასული „მალულას“ პრინციპზეა დაფუძნებული და საპრიზო ქულების თანდათანობით მატებას გულისხმობს. მოახლოებული ზაფხულის გამო, ტურნირი გაიმართება რვა ტურად (4 მაისი – 29 ივნისი).**

**– გამარჯვებული მიიღებს „მობილურ“ ტელეფონს.**

**– მე-13 ადგილზე გასულს გადაეცემა 3 ვიდეოკასეტა.**

**– პირველ ტურში თამაშდება 20 ქულა: 10 საპრიზო ქულა კროსვორდიდან და 10 ქულა საპრემიო კითხვებიდან შემდეგნაირად: მოცემული 12 კითხვიდან თქვენ არჩევთ თქვენთვის სასურველ 5 კითხვას და ყოველ სწორ პასუხზე დაგერიცხებათ 2 ქულა.**

**– დაგვირეკეთ შაბათს, 5 მაისს, 12-14 საათებში**

**– ტელეფონები: 79-53-70 ან (8-77) 72-61-18**

## გასული ნომრის სავარჯიშო „მალულას“ პასუხები

წარმოდგენილი კროსვორდი, რა თქმა უნდა, არ იყო რთული და მას საკროსვორდო ტურნირებს შორის არსებული პაუზის შევსების დანიშნულება ჰქონდა („ფორმა“ რომ არ დაგვეკარგათ). დიდ მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც არ დაიზარა და დარეკა და აქვე მოვიხდით ბოდიშს - თარაზული კითხვა № 13 არასწორად იყო დასმული და „დიდი წინასწარმეტყველის“ ნაცვლად უნდა ყოფილი „(.......) უაილდი“ (ან რომელიმე სხვა ოსკარი).



**დაინტერესებულ მკითხველს ვაცნობებთ, რომ ჩვენი გაზეთის შაბათის გამოშვების – „პოპულარული ადამიანების“ – პირველი ნომრის გამოსვლა დაგეგმილია 19 მაისისათვის**

# ვინ არის ყველაზე ჭკვიანი მაისში?

*ვიქტორინა ჩატარდება ოთხ ტურად; ყველაზე მეტი ქულის დამგროვებელი მიიღებს მაისის ყველაზე ჭკვიანი „ფანტაზიელის“ ტიტულს'მეორე ადგილზე გასულს შეხვდება 50 ლარი, მესამე ადგილზე გასულს კი - 20 ლარი.*

*დაგვირეკეთ გაზეთის გამოსვლის დღეს, პარასკევს, 4 მაისს, საღამოს 18-20 საათებში ტელეფონებზე: 79-53-70 ან (877) 72-61-18.*

## პირველი ტური (4 მაისი)

**1) როგორც ამბობენ, კარდინალ რიშელიეს ძალიან მოსწონდა ძირნაყარი ვაშლების სუნი, ამის გამო, ერთხელ, მან გასცა ბრძანება დაემზადებინათ *ის*, რაც დღემდე მოდაშია... რა არის *ის*?**

ა) პომადა ბ) სიდრი გ) ალიგოტე დ) ანისი

**2) რომელი ხის ტოტებს ჰკიდებდნენ მიცვალებულის ოჯახში და რგავდნენ მიცვალებულთა საფლავებზე ძველ საბერძნეთში?**

ა) მუხის ბ) კედარის გ) კვიპაროსის დ) იფანის

**3) ტანგოს რომელი ნაირსახეობა არ არსებობს?**

ა) არგენტინული ბ) ბოშური გ) კრეოლური დ) იტალიური

**4) რომელი ქალაქის აშენებაში მიუძღვის ლომის წილი ესპანური წარმოშობის მქონე ადმირალს, ხოსე დე რიბასს?**

ა) ოდესის ბ) პამპლონის გ) ნეაპოლის დ) მურმანსკის

**5) დაიბადა მოსკოვში და გარდაიცვალა ლისაბონის სიახლოვეს, პატარა ქალაქ ეშტორილში ... იგი იყო:**

ა) გუსტავ კლიმტი ბ) ალექსანდრე ალიოხინი გ) კლიმენტი ტიმირიაზევი დ) ესა დე კეიროში

**6) იხილეთ ფოტო და მოგვახსენეთ - რომელ ფილმში არ მიუღია მონაწილეობა ამ უმშვენიერეს ქალბატონს?**



ა) „Homo Faber“ ბ) „თეთრი“ გ) „ბერლინის ცის ქვეშ“ დ) „მზის ამოსვლამდე“

**7) ბერნარდ შოუ ამბობდა, რომ „*ეს* ფრანკმასონების საზოგადოებას ჰგავს, ვინც მასში გაწევრიანებული არ არის ამის შესახებ არაფერი იცის, ხოლო ვინც გაწევრიანებულია იძულებულია გაჩუმებული იყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე“... რაზე იხუმრა ასე მწარედ მწერალმა?**

ა) ქორწინებაზე ბ) მასონების ლოჟაზე გ) პარლამენტზე დ) საროსკიპო სახლზე

**8) გერმანელი მათემატიკოსი, რომლის სახელიც დაენათლა ერთი ზედაპირის მქონე ფურცელს არის:**

ა) კარლ ფრიდრიჰ გაუსი ბ) ავგუსტ ფერდინანდ მებიუსი გ) იულიუს ვილჰელმ დედეკინდი დ) ლეოპოლდ კრონეკერი

**9) ჩამოთვლილთაგან რომელი ზედმეტი?**

ა) სარტრი ბ) ბელმონდო გ) მარატი დ) რასტინიაკი

**10) (კარგად გადაათვალიერეთ დღევანდელი ნომერი და გამოიცანით) რომელი ქალაქია მათ შორის „ამერიკის ვენეციად“ წოდებული ბრაზილიაში?**

ა) რიო-დე-ჟანეირო ბ) სან-პაულუ გ) ბრაზილია დ) რესიფი

**11) ისევე როგორც ყველა დანარჩენი მორწმუნენი, ბრაზილიელებიც ამბობენ, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო ექვს დღეში... რა შექმნა ღმერთმა მეშვიდე დღეს ბრაზილიელთა თქმით?**

ა) რიო-დე-ჟანეირო ბ) ბრაზილია გ) მდინარე ამაზონი დ) მუსიკა

**12) ჯერ კიდევ დიდმა ჰიპოკრატემ შენიშნა, რომ თუ ადამიანი ტირიფის ხის ქერქს დაღეჭავს, ტკივილი გაუყუჩდება; სწორედ ტირიფის ხის ქერქისაგან მიიღო გერმანელმა ქიმიკოსმა ფელიქს ჰოფმანმა მჟავა, რომლითაც დღესდღეობით ამზადებენ ერთ მედიკამენტს... რომელს?**

ა) პენიცილინს ბ) ნისტატინს გ) ასპირინს დ) ლეომიცტინს

**13) ევროპის რომელ ქალაქშია დაკრძალული ირლანდიური წარმოშობის ინგლისელი მწერალი ოსკარ უაილდი:**

ა) ლონდონში ბ) დუბლინში გ) პარიზში დ) ბერლინში

**14) 1922 წლის 5 აგვისტოს მთელი აშშ-ს ტერიტორიაზე გარკვეული დროით შეწყდა სატელეფონო საუბრები... რა მოხდა ასეთი?**

ა) მიმდინარეობდა ალექსანდრე გრაჰამ ბელის დაკრძალვა ბ) ამერიკელმა ქალებმა მოიპოვეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება გ) ტარდებოდა სატელეფონო პროფილაქტიკური სამუშაოები მთელი ქვეყნის მასშტაბით დ) პირველი სატელევიზიო გადაცემა გავიდა ეთერში

**15) რა არის ერთი ინგლისური გამონათქვამის თანახმად „ინფორმაციის გაცვლა ჟესტების საშუალებით“?**

ა) კრივი ბ) ჟესტების ენა გ) ინგლისური ენა დ) ფეხბურთი

## გინესების რეკორდების წიგნი
# ჰობი. სასმელები

**ლუდის კათხები**

უილიამ ბ. კრისტენსენი

აშშ-ს ნიუ-ჯერზის შტატის ქალაქ მედისონის მკვიდრმა უილიამ ბ. კრისტენსენმა შეაგროვა 125 ქვეყნის წარმოების 75 000 ლუდის კათხა.

**ლუდის ეტიკეტები**

იან სოლბერგი

ნორვეგიის ქალაქ ოსლოს მკვიდრმა იან სოლბერგმა მსოფლიოს ყველა ქვეყნის 424 868 სხვადასხვა სახის ლუდის ეტიკეტი შეაგროვა.

**ლუდის კათხების სადგამები**

ლეო პისკერი

ლუდის კათხების სადგამების მსოფლიოში ყველაზე დიდი კოლექცია შეაგროვა ავსტრიის ქალაქ ლანგენცერდორფის მკვიდრმა ლეო პისკერმა; მის კოლექციაში 165 ქვეყნის 150 125 სხვადსხვა სადგამია დაცული.

**ბოთლები**

ჯორჯ ი. ტერენი

აშშ-ს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ საუტბოროს მკვიდრმა ჯორჯ ი. ტერენმა ალკოჰოლური სასმელების 31 804 ცალი მინიატურული ბოთლი შეაგროვა.

**ბოთლები**

პიტერ ბროკერი

გერმანიის ქალაქ გეეშტახტის მკვიდრი პიტერ ბროკერი არის მფლობელი კოლექციისა, რაშიც მსოფლიოს 110 ქვეყნის 8131 სრულიად სხვადასხვა ლუდის ბოთლია დაცული.

**ბოთლები**

დევიდ მონდი

დევიდ მონდმა შოტლანდიური ვისკის 11 742 ცალი მინიატურული ბოთლი შეაგროვა.

**ბოთლის საცობები**

პოლ ჰეგ პოულსენი

დანიის ქალაქ რედოვერის მკვიდრმა პოლ ჰეგ პოულსენმა 179 ქვეყნის 82 169 ცალი ბოთლის საცობი შეაგროვა.

**ბოთლის ეტიკეტები**

იან ბოასმენი

1999 წლის 4 აპრილისათვის დიდი ბრიტანეთის ლანკაშირის საგრაფოს ქალაქ პრესტონის მკვიდრის იან ბოასმენის კოლექციაში თავი მოიყარა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოებული ბოთლების 4239-მა ეტიკეტმა.

* * *ვითანამშრომლებთ პიროვნებასთან, ვისაც აქვს პერსონალური კომპიუტერი, ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, აქვს მხატვრული თარგმანის გამოცდილება.

* * *ვითანამშრომლებთ პიროვნებასთან, ვინც ნებისმიერი სახის ორიგინალურ (ჩვენი გაზეთის შესაფერის) კროსვორდს კომპიუტერზე აწყობილ-დაკაბადონებულს მოგვაწვდის.

* * *გვაინტერესებს მცირე ზომის თემატური კროსვორდები.



# მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი

## გამოშვება №27, ნაწილი 2




მოგვიანებით დაქორწინებული პიტერი და ლაიზა ჰარისონის ამბავს აღარ იხსენებდნენ, ისინი მანჰეტენზე ერთ ძვირფას ბინაში დასახლდნენ და ბედნიერი წყვილის თამაში დაიწყეს. ლაიზამ ამჯერად მტკიცედ გადაწყვიტა - ახლა ცოლი ვარ და ღალატზე ლაპარაკი ზედმეტიაო. მას არ სურდა დედას დამგვანებოდა, რომელიც ერთი ქმრიდან მეორის ხელში გადადიოდა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების ასრულება ძალზედ ძნელი აღმოჩნდა. ლაიზა მიუზიკლში მღეროდა, პიტერი საგასტროლო ტურნეებში მთელ ამერიკას გარს უვლიდა და სულაც არაა გასაკვირი, რომ ლაიზას ახალი მეგობარი-თანამოსაუბრე გამოუჩნდა, მავანი ნიუ-იორკელი მოდელიორი; და როცა პიტერი სახლში არ იყო, ლაიზა მასთან გამთენიამდე ლაყბობდა და არაფრის დიდებით არ დადიოდა დისკოტეკებზე; მან ხომ მშვენივრად იცოდა, რითაც მთავრდებოდა ხოლმე ამგვარი გასეირნებანი.

1969 წელს თვით ყველაზე მოკირკიტე კრიტიკოსებმაც სათანადოდ დააფასეს ლაიზას ნიჭი, ხოლო მისმა ფილმმა - „უნაყოფო გუგული“ - „ოსკარის“ პრემიაზე წარდგენაც კი დაიმსახურა. ამ ფილმში ლაიზამ მიტოვებული სატრფოს როლი განასახიერა და მისი ფრაზა - „ეს შეუძლებელია?!“ - მოარულადაც კი იქცა იმხანებში, რადგან ამავე ფრაზის წარმოთქმა მას ცხოვრებაშიც მოუხდა, როცა შეიტყო, რომ პიტერს მის დედიკოსთან ჰქონია გაბმული სატრფიალო რომანი. ამ ფაქტის გაცნობიერებამ ლაიზა ისტერიამდე მიიყვანა და, რომ არა მისი მეგობარი-თანამოსაუბრე, მავანი ნიუ-იორკელი მოდელიორი, მას შესაძლოა სიცოცხლე თვითმკლელობითაც დაესრულებინა.

ლაიზამ სახალხოდ განაცხადა, რომ მას დედა აღარ ჰყავს და ეს ასეც მოხდა - 1969 წლის 29 ივნისს სატელეფონო ზარმა ადრიანი დილით გააღვიძა ლაიზა და მას აცნობეს - ჯუდი გარლანდი 47 წლის ასაკში ბარბიტურატების ზედმეტი დოზით გარდაიცვალაო.

- „ეს შეუძლებელია?!“ - მესამედ აღმოხდა ლაიზას იმ წელს ეს ფრაზა და ისე განაგრძო ცხოვრება, რისაც მთელი ბავშვობის განმავლობაში ეშინოდა - დედამ ამჯერად მართლა მოიკლა თავი და სამუდამოდ მიატოვა ლაიზა. და დაიწყო თავბრუდამხვევი ცხოვრება, რომლის გასაძლებად და გადასატანად ნიუ-იორკელი მოდელიორი არაიშვიათად ნარკოტიკებით გატენილ ფლაკონებს ჩუქნიდა კაბარედან კაბარეში და ფილმიდან ფილმში მოწანწალე ლაიზას.

აი, ასე მივიდა ლაიზა 1973 წლამდე, როცა ბობ ფოსმა მას მთავრი როლის შესრულება შესთავაზა ყველაზე გახმაურებულ ფილმში „კაბარე“; ეს ფილმი, გარდა სხვა ღირსებებისა, იმით აღმოჩნდა აღსანიშნავი, რომ პრესამ და კრიტიკამ ერთხელ და სამუდამოდ შეწყვიტა ლაიზას გაიგივება და შედარება დედასთან; ჯუდი გარლანდი ვერაფრით-ვერასდროს ვერ განასახიერებდა ასეთ როლს; მხოლოდ ლაიზა იყო იმის შემძლე, რომ შლაპაში და შავ წინდებში გამოწყობილი ბერლინელი თავქარიანი ქალის სახე აღებეჭდა ეკრანზე.

დედას ლაიზა პირადი ცხოვრებითაც არ ჰგავდა; მართალია არც ჯუდი განიცდიდა მამაკაცთა ცვალებადობის ნაკლებობას, მაგრამ ლაიზა მთლად „გადაირია“ ამ ასპარეზზე და შედეგმაც არ დააყოვნა - მას არც მეტი, არც ნაკლები „სექსუალური ზვიგენი“ შეარქვეს, რომლის მსხვერპლთა კლასიფიცირებაც კი მოახდინეს დაინტერესებულმა პირებმა „ფრანგული, იტალიური, ბრიტანული თუ ამერიკული სიების“ სახით (ფრანგულ სიას, მაგალითად, სათავეში შარლ აზნავური ედგა).

მხოლოდ 1974 წლის განმავლობაში ლაიზამ ორჯერ მოასწრო ოფიციალურად გათხოვება, თუმცა ყველასათვის ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ პარალელურად მრავალრიცხოვან საყვარლებთანაც ახერხებდა და ასწრებდა შეხვედრას და ეს მისი ნიუ-იორკელი მეგობარი-თანამოსაუბრის მანჰეტენზე განლაგებულ ბინაში ხდებოდა. ლაიზას მამა, ვინსენტ მინელი, ხედავდა ყოველივე ამას, მაგრამ მხოლოდ ის შეეძლო, რომ შვილი მკაცრად გაეფრთხილებინა - „ეს ამბავი კარგად არ დასრულდებაო!“

...ყოველივე ეს ბანალურ ანეკდოტს ჰგავდა, რომლის მთავრი პერსონაჟი იმხანად, სხვათა შორის, ცნობილ რეჟისორი მარტინ სკორსეზე გახლდათ. მავანი მოდელიორი ასეთ სცენას იხსენებს:

„ერთ საღამოს ლაიზა ერთ-ერთ ქმართან, ჯეკ ჰეილისთან ერთად ქუჩაში მისეირნობდა და გზად მარტინ სკორსეზე შემოხვდათ, რომელიც გააფთრებით მიიჭრა მათთან და ლაიზა საყვედურებით აიკლო იმის გამო, რომ მიხაილ ბარიშნიკოვთან ჰქონდა რომანი და მას ღალატობდა“ ყოველივე ამას უშფოთველად უსმენდა ოფიციალური ქმარი და არც კი დასმულა რიტორიკული კითხვა - ვის ღალატობდა ლაიზა მინელი?!

სამოცდაათიანი წლების ბოლოს ლაიზას დროისტარებისათვის „54-ე სტუდია“ ჰქონდა შერჩეული, სადაც იმხანად ნიუ-იორკის მთელი ბოჰემა იყრიდა თავს. იქ ყოველ საღამოს ელიზაბეტ ტეილორი მიდიოდა, რათა მოძალებულ სიმსუქნეზე ესაუბრა; იქ მიკი ჯაგერი მიხაილ ბარიშნიკოვის მხრებზე მშვიდად თვლემდა; იქ ტრუმენ კეპოტი თავის მორიგ პლასტიკურ ოპერაციას „ასველებდა“... იქ ლაიზას პრემიერების ზეიმები აღინიშნებოდა.

მეორე დღეს კი ლაიზა აუცილებლად გამოდიოდა სცენაზე, საღამოს აუცილებლად ატარებდა დროს საყვარლის კომპანიაში, ღამით აუცილებლად მიდიოდა „54-ე სტუდიაში“ და... ერთ მშვენიერ დღეს, ლაიზა შუა სიმღერაში გაჩერდა, სიტყვები გადაავიწყდა და უაზროდ მიაშტერდა მაყურებელს. მისმა გონებამ თითქოს საბოლოოდ უარი თქვა ამ გიჟურ გაწამაწიას ბოლომდე მომსახურებოდა. გონებას სხეულმაც აუბა მხარი და 1980 წელს, შობამდე ოთხი დღით ადრე, როცა ლაიზა მამასთან უნდა წასულიყო ლოს-ანჯელესში, მას სიცხემ აუწია, უმოძრაოდ ჩაეშვა სავარძელში და ერთადერთი, რითაც შეღავათი გაუწია მას გონებამ და სამსახურზე უარი აღარ უთხრა, გახლდათ ის, რომ დროზე გაახსენა, სად იდო ბლოკნოტი, სადაც ანონიმური ფსიქიატრიული სამსახურის ტელეფონის ნომერი ეწერა. როდესაც ექიმებმა ვინაობა და სამსახურეობრივი საქმიანობა ჰკითხეს, ლაიზამ ისღა უპასუხა - „ჩემი ცხოვრება კაბარეაო“ - და ნარკოტიკებისა და ალკოჰოლისაგან გაჟღენთილი სხეული ხანგრძლივი დროით ჩააბარა შესაბამის ექიმებს. ცნობილი კალიფორნიელი ექიმის ბეტი ფორდის დასკვნა კი ასეთი გახლდათ: ლაიზა იმ ხაფანგში მოხვდა, რომელსაც მთელი ცხოვრება გაურბოდა. იგი ვერასოდეს გათავისუფლდა სულიერი ამბოხისაგან, რაც მას დედის კალთიდან გამოსვლისაკენ უბიძგებდა.

ბეტი ფორდს მკურნალობის საკუთარი მეთოდი გააჩნდა. იგი ყოველ დღე აძალებდა გრძელი და აღმსარებლური წერილი მიეწერა ლაიზას ჯუდი გარლანდისათვის, რომლის სიკვდილიდან თითქმის თორმეტი წელი იყო გასული და მაინც... არავინ იცის, რის ფასად უჯდებოდა ლაიზას ამგვარი წერილების წერა, არავინ, გარდა მისი ექიმისა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ყოველი ასეთი თხზულების დასაწერად მას დღეში სამი საათი ეხარჯებოდა.

კლინიკიდან ლაიზა სულ სხვა ადამიანის სახით გამოვიდა. მას უკვე აღარ სჭირდებოდა სტიმულატორები და მარტოობის ბავშვობისდროინდელი შიშიც აღარ ზემოქმედებდა მაგიურად მასზე.

„პირველად მრავალი წლის განმავლობაში ჩემს სულში სიმშვიდე გამეფდა - იგონებს ლაიზა - პირველად ცხოვრებაში აღარ ვიგრძენი საკუთარი თავისადმი შიში და ზიზღი; ბოლოსდაბოლოს დავვრწმუნდი იმაში, რომ მე დედაჩემი მიყვარდა და ბევრი სიკეთე ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ მისი წყალობით მოხდა.“

ახალი ცხოვრება ახალი გათხოვებით აღინიშნა. იგი ცოლად გაჰყვა ყველსათვის უცნობ მოკრძალებულ მოქანდაკეს მარკ გეროს. ლაიზამ მასთან საოცარი სულიერი სიახლოვე იგრძნო, როცა შეიტყო, რომ ამ მოქანდაკესაც ორწლიანი დეპრესია გადაუტანია და რომ გაუმარჯვია კიდეც ამ დეპრესიასთან ჭიდილში. მარკი იყო ნაზი, ოჯახის მოყვარული კაცი, არასოდეს უწევდა ხმას და გამუდმებით უმტკიცებდა ლაიზას, რომ მისგან შვილის ყოლა უნდა.

ახალი ქმრის თანხლებით ლაიზამ გრანდიოზული ტურნე განახორციელა საფრანგეთში (მასთან ერთად თვით შარლ აზნავური მღეროდა). შემდეგ ამერიკას შემოუარა გარშემო ძველ მეგობარ ფრენკ სინატრასთან ერთად; არც თავის საყვარელი ინგლისი დაივიწყა და მასაც დიდი გასტროლებით ეწვია. ლაიზას მეგობრები თვლიდნენ, რომ დროა მას ჯუდი გარლანდის რეპერტუარიდანაც ამოეღო სიმღერები და ეს არანაირ საშიშროებას არ შეუქმნიდა მას; იგი ხომ „ოსკარის“, 4-გზის „ტონის“ მრავალი სხვა ჯილდოს მფლობელი იყო.

- „რის გეშინია? - ეკითხებოდა მარკი - ხომ ხედავ, აქ ყველგან წერია ლაიზა მინელი და არა ჯუდი გარლანდი?“

* * *

....1995 წელი. ლაიზას კონცერტი იმავე „პალადიუმში“. ახლა იგი ნიავივით ველარ დაჰქრის სცენაზე. იგი ახლა მშვიდად და აუღელვებლად დგას; მისი შემხედვარე ძნელად თუ დაიჯერებს კაცი, რომ 48 წლის ლაიზა მინელიმ სულ მცირე ხნის წინ ურთულესი ოპერაცია გადაიტანა. კონცერტის წინ იგი რეპორტიორებს გამოუტყდა: „მე არავის არაფერს ვეუბნები, უბრალოდ მრცხვენია! ხალხი მეკითხება - რა გჭირს ფეხზე? მე კი ვპასუხობ - არაფერი, ფეხსაცმელი მიჭერს... ახლა აეროპორტში რომ გავივლი, ხომ წარმოგიდგენიათ რა ზრიალს ატეხენ აპარატები... სამაგიეროდ აღარაფერი მტკივა...“

იმ საღამოს თეძოში ლითონის პროთეზჩადგმული ლაიზა კვლავ „პალადიუმის“ დედოფალი იყო. მან ახალი პროგრამა წარმოადგინა, რომლის ბოლოს, ყველას გასაოცრად ოდნავ ჩახლეჩილი ხმით გამოაცხადა - „ახლა კი სიმღერა ჯუდი გარლანდის რეპერტუარიდან...“









## აღადგინეთ და შეავსეთ (...ან პირიქით) სკანდინავიური კროსვორდი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაგარი უცხოური ღვინო | „სიმონას" დავითი | სამიზნის ცენტრი | გოგოვ, გოგოვ, (.....) მემდური |
| წამლების სპეციალისტი | შეიარაღებული ამალა | ნახაზი / ძიუდოს თანრიგი | (...)პუსი / მდინარის პირასაა / დრენაჟი |
| მაუგლის გველი / ჭადრაკ. ფიგურა | ლაზი და.. / ....კონერი / ნორჩი ტოტი | დასანევავი დანესებულება | ჩვენი კინოს ჟანა დ'არკი |
| სასაუზმე / გაგარინი / სამეული | დაღმართი | განთიადი | უარყოფითი ნაწილაკი |
| გერმანიის ქალაქი | ლაბა | თურქული მარგარინი | ტიალი |
| ჩვენი ქალების ძვ.სახელი / სიგარეტი | მამუკა / (.......) მატერი | კალანდაძე | პუგაჩოვა |
| მელვინეთუხუცესი | ღამის თენება | (......) ნადირაძე / გიგაც, მარიკაც | არსაკიძე |

**დაინტერესებულ მკითხველს მოვახსენებთ, რომ შემდეგი ნომრიდან დავიწყებთ ხანგრძლივ საუბარს იტალიის და იტალიელების შესახებ**

# პატარა ენციკლოპედია
## თემა – „ფრანგი მწერლები"

**კრეველი** (Crevel) რენე (1900-35) - შედიოდა დადაისტთა გაერთიანებაში. მოგვიანებით სიურრეალისტებს დაუკავშირდა. რომანი - „ხომ არ გაგიჟდით?", ესესისტური თხზულება „დიდროს კლავესინი".

**კურტადი** (Courtade) პიერ (1915-63) - მწერალი და ჟურნალისტი. მეორე მსოფლიო ომის წინააღმდეგობრივი მოძრაობის მონაწილე. პუბლიცისტური რომანები „ჯიმი", „შავი მდინარე". ავტობიოგრაფიული რომანი „წითელი მოედანი".

**ლაბრუიერი** (La Bruy-ere) ჟან დე (1645-1696) - აფორისტული პუბლიცისტიკის ოსტატი. წიგნში „ხასიათი, ანუ ჩვენი საუკუნის ზნეობა" მოცემულია მაღალი საზოგადოების სატირული „პორტრეტი".

**ლაკლო (შოდერლო დე ლაკლო)** (Choderlos de Laclos) პიერ (1714-1803) - შემოქმედების ძირითადი თემები - საფრანგეთის რევოლიუციის წინაპერიოდის ვითარების ასახვა; ფსიქოლოგიური რომანი „სახიფათო კავშირები".

**ლაკორდერი** (Lacordaire) ჟან ბატისტ ანრი (1802-61) - კათოლიკე მოძღვარი და მწერალი. საფრანგეთის აკადემიის წევრი. მიაღწია საფრანგეთში დომინიკანელთა ორდენის აღდგენას და თავად გახდა ამ ორდენის წევრი.

**ლანუ** (Lanoux) არმან (1913-83) - ტრილოგიაში უ გნური გრეტა" თანამედროვე სამყაროს განწირულობის თემა. რომანი „ფუტკრების მწყემსი" - ომის წინააღმდეგობრივი მოძრაობის თემა. ზოლას და მოპასანის ბიოგრაფი.

**ლაროშფუკო** (La Rocheforoucauld) ფრანსუა დე (1613-80) - მწერალი-მორალისტი. „მემუარებში" და „მაქსიმებში" აფორისტული ფორმით გადმოცემულია ადამიანის ხასიათზე ფილოსოფიურ დაკვირვებათა შედეგები.

**ლაფონტენი** (La Fontaine) ჟან დე (1621-1695) - ცნობილი „იგავების" ავტორი, მისი შემოქმედება მთლიანად ეფუძნება ხალხურ სიბრძნესა და ფოლკლორს.

**ლეირისი** (Leiris) მიშელ (1901-90) - სიურრეალისტური აზროვნების გამზიარებელი. ავტორი პოეტური კრებულებისა, რომანი - „ავრორა", ეთნოლოგიური ტრაქტატი „აფრიკული ზმანებები".

**ლეოტო** (Leautaud) პოლ ფირმენ ვალანტენი (1872-1956) - ესეების კრებული „დროისტარება". ლიტერატურული დღიურები, ლექსები.

**ლესაჟი** (Lesage) ალენ რენე (1668-1747) - რომანი „კოჭლი ეშმაკი", „ჟილ ბლაზის და სანტილიანას თავგადასავალი". აბსოლუტისტური საფრანგეთის ზნეობრივი დაცემის მხილება.

# პიერ ბული

(გაგრძელება, დასაწყისი „ფანტაზიის № 11-ში,
Targmnisal.elerdaSvili)

**Pierre Boulle** Planete des Singes
*Paris, 1962*

მე გაუნძრევლად ვიწექი, ნოვა კი მთელი სხეულით მომეკრა და ახლა ჩვენ არაფრით განვსხვავდებოდით ამ უცნაური ტომის სხვა წყვილებისაგან, რომლებიც ღამის გასათევად ემზადებოდნენ. იმ წუთას, მიუხედავად ნოვას მშვენიერებისა, მე მას, როგორც ქალს, არ ვუყურებდი. ისიც ადამიანივით კი არა, თვინიერი შინაური ცხოველივით იქცეოდა, რომელიც პატრონს გასათბობად ეხუტება ხოლმე. მეც მსიამოვნებდა მისი სხეულის სითბო, მაგრამ არანაირ სურვილს იგი ჩემში არ აღძრავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამეძინა ამ საოცრად მშვენიერი და საოცრად უგნური არსების გვერდით. ისე ვიყავი გადაღლილი, რომ ცალი თვალითაც არ გამიხედავს ხეებს შორის ამობრდღვიალებული იმ პლანეტის ღამეული თანამგზავრისკენ, რომელიც ჩვენს მთვარეზე უფრო პატარა იყო, მაგრამ ყვითლად მოციაგე შუქით მაინც კარგად ანათებდა ირგვლივ გადაშლილ ჯუნგლებს.




# პლანეტა

### მერვე თავი

რომ გამომეღვიძა, ტოტებს შორის უკვე დღის სინათლე ილანდებოდა. ნოვას კვლავ ეძინა. მე მდუმარედ ვესიყვარულებოდი მას, მაგრამ უცებ გამახსენდა, თუ რა სისასტიკით მოეპყრო იგი ჩვენს საბრალო მაიმუნს და ღრმად ამოვიოხრე. ესეც რომ არა, ყველა ჩვენი უბედურება ხომ ამ ლამაზმანის გამოისობით დაიწყო. თავის თანამემამულეებს ხომ მან აცნობა ჩვენი არსებობის შესახებ. მაგრამ მაინც არ შემეძლო წყრომით მეცქირა მისთვის, რადგან მისი მშვენიერება მაგიურად მოქმედებდა ჩემზე.

უცებ ნოვა შეინძრა და თავი აწია. მის თვალებში უცებ შეძრწუნებამ გაიელვა და ტანზე ყველა ნაკვთი დაეძაბა. თუმცა ჩემმა უმოძრაობამ დააწყნარა ნოვა და თანდათანობით სახეც დაუმშვიდდა. როგორც ჩანს, მას რაღაც ახსოვდა, მაგრამ მაინც შეძლო ჩემი მზერისათვის წამიერად გაეძლო. მე ეს ჩემს პირველ გამარჯვებად ჩავთვალე და, სრულიად გადამავიწყდა რა სორერას მკვიდრთა რეაქცია დედამიწელთა ქესტიკულაციისადმი, მეგობრულად გავუღიმე ქალს.



საბედნიეროდ, ამჯერად მისი რეაქცია არცთუ ისე მგზნებარე აღმოჩნდა. ნოვა აკანკალდა და მთლად დაიძაბა, თითქოს ნახტომისათვის ემზადებაო, მაგრამ მაინც ჩემს გვერდით დარჩა. წარმატებით გამხნევებულმა უფრო გულღიად გავუღიმე. იგი კვლავ დაიძაბა, მაგრამ უფრო მალე დაწყნარდა და საბოლოოდ სახეზე გაოცების გარდა აღარაფერი შერჩა.

ნუთუ შევძელი და მოვიჩვიე?! ახლა უფრო გაბედულად ავმოქმედდი და მხარზედაც კი დავადე ხელი. ნოვას სხეულზე თრთოლვის ტალღამ გადაურბინა, მაგრამ კვლავ არ შენძრეულა. წარმატებამ გამაბრუა და ეს გაბრუება აღტაცებამ შეცვალა, როცა შევნიშნე, რომ ნოვა ჩემს მოძრაობათა გამეორებას აპირებდა.

დიახ, ეს ნამდვილად ასე იყო! იგი **გაღიმებას** ცდილობდა! ისიც ცხადად საგრძნობი იყო, რომ მას ეს მცდელობა უზარმაზარი ენერგიის ხარჯვის ფასად უჯდებოდა. მან რამოდენიმეჯერ გაიმეორა მშვენიერ სახეზე ერთი და იგივე გრიმასა, მაგრამ საბოლოო ჯამში რაღაც მანჭვისმაგვარი თუ გამოუვიდა. მის მტანჯველ მცდელობებში, ასეთი უბრალო, მაგრამ მისთვის მიუწვდომელი ადამიანური გრძნობა რომ ასახვოდა სახეზე, იყო რაღაც გულის სიღრმემდე შემაძრწუნებელი. უცებ ვიგრძენი, თუ როგორ ჩამწყდა მთელი შიგნეულობა და როგორ გადაევლო ჩემს სულს სიბრალულის უზარმაზარი ტალღა; ასე მეგონა, უმშვენიერეს, მაგრამ გონებით დაჩლუნგებულ ინვალიდ ბავშვს ვუცქერდი. მე ალერსით მოვხვიე მხარზე ხელი, დავიხარე მისკენ და ფრთხილად ვეამბორე მის ბაგეებს... საპასუხოდ მან ცხვირი ცხვირზე მომითათუნა და ლოყა ამილოკა.

ამან მთლად გამაოგნა და არ ვიცოდი შემდგომ როგორ მოვქცეულიყავი. ყოველი შემთხვევისათვის მისი ქმედება გავიმეორე, თუმცა, სიმართლე თუ გინდა, არცთუ კარგად გამომივიდა ეს. ბოლოსდაბოლოს ხომ ჩვენ ვიყავით უცხოპლანეტელნი და საერთოდ უცხონი და ჩვენ ვიყავით ვალდებულნი დიადი ბეთელჰეიზეს საპლანეტო სისტემის მკვიდრთა ჩვეულებანი შეგვესწავლა. ნოვა თითქოს დაკმაყოფილდაო და ჩვენს ალერსს გაგრძელება არ მოჰყოლია. მე იმას ვშიშობდი, რომ ჩემს დედამიწიერ მანერებს რაიმე სახიფათო შედეგი არ მოჰყოლოდა და ფიქრში ჩავიძირე... უცებ გამაოგნებელმა გრუხუნმა და ზრიალმა გვაიძულა წამოვმხტარიყავით.

ერთხანს შეცბუნებულ-შეშინებული ვიდექი ჩემი ორი ამხანაგის გვერდით, რომელთა არსებობა კინაღამ გადამავიწყა ნოვასთან კოტრიალმა. ნოვა კი გაცოფებულივით აწყდებოდა აქეთ-იქით და მივხვდი, რომ ეს გრუხუნი მოულოდნელი იყო არა მარტო ჩვენთვის, არამედ იმ ტყის ბინადრებისათვისაც. ადამიანები თავის ბუდეებიდან ხტებოდნენ და ხშირ ბალახში დამალვას ცდილობდნენ. და ეს აღარ იყო წინადღეს ნანახი მათი გართობანი - ამჯერად მათს ყვირილში უსაზღვრო შიში იგრძნობოდა.

ამ გრუხუნისგან, რომელიც მთელ ჯუნგლებს შიშის ზარს სცემდა, ჩვენც გაგვეყინა ძარღვებში სისხლი. ცხადად იგრძნობოდა, რომ ადამიანებს თავად ეს ხმები კი არ აშინებდათ, არამედ ისინი უფრო საშინელი განსაცდელის მოლოდინში იყვნენ. ხმაური ძლიერდებოდა. ეს იყო შემზარავი კაკოფონია, რომელშიც აღრეულიყო დაფდაფების ცემა, ფოლადის საგნების ზრიალი და უცნაური არსებების ყვირილის ხმები. ყველაზე მეტად სწორედ ამ ყვირილმა გაგვაოცა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კარგად არ გვესმოდა ეს უცნაური ბგერები, აშკარად ვგრძნობდით, რომ მას დანაწევრებული მეტყველების მქონე არსებები გამოსცემდნენ.

ამომავალი ბეთელჰეიზე უკვე სრულად დაჰნათოდა ირგვლივ შექმნილ ვითარებას: ტყისპირა მდელოზე სხვადასხვა მიმართულებით დაქროდნენ ქალები, კაცები, ბავშვები; ისინი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ძირს ვარდებოდნენ, დგებოდნენ და ისევ გარბოდნენ, ზოგი კი ხეზე აცოცებას და იქ დამალვას ცდილობდა. მცირე ხანში ხმები შესუსტდა და გარემოს მიყურადებული რამდენიმე ყველაზე გაბედული მამაკაცი მდელოს ცენტრში გაჩერდა. ხმაური შესუსტდა, მაგრამ რაღაც არსებების მოახლოება იგრძნობოდა იმ მხრიდან, სადაც ტყე ყველაზე უფრო დაბურული იყო. ყოველივე ეს იმ მონადირეთა საქციელს წააგავდა, რომლებიც მსხვერპლს ყიჟინით აბრუებენ და მერე ალყაში აქცევენ ხოლმე.

ამასობაში ტომის ბელადებმა, მგონი, რაღაც გადაწყვეტილება მიიღეს და ერთგვარი წივილნარევი ხმებით, რაც აშკარად გარკვეული ბრძანებების შემცველი იყო, ხმაურის წყაროს საწინააღმდეგო მიმართულებით დაიძრნენ. მთელი ტომი აედევნა ბელადებს და ჩვენ დავინახეთ, თუ რა სიფრთხილით იკვალავდნენ ისინი გზას ხშირ ბუჩქნარში, უნებლიედ კაცს ირმების დამფრთხალი ჯოგი გაახსენდებოდა. ნოვა ჩვენსკენ გამოიქცა, უფრო სწორად, როგორც მე მეგონა - ჩემსკენ. მის ბაგეთაგან შიშნარევი კვნესა ამოიფრქვა, თითქოს ამით რაღაც გვანიშნაო და მერე მანაც ისკუპა ბუჩქნარისაკენ და გაუჩინარდა.

ხმაური კვლავ გაძლიერდა და ახლა უკვე ჩექმებქვეშ გამხმარი ტოტების მსხვრევის ხმა მოსწვდა ჩვენს ყურს. გამოგიტყდებით, მეც ძრწოლამ ამიტანა. ალბათ, უფრო გონივრული იქნებოდა ადგილზე გავჩერებულიყავით და ასე დავხვედროდით სორორას სხვა მკვიდრებს, რომლებიც აშკარად ადამიანური ენით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ყოველივე იმის შემდეგ, რაც წინადღეს გადავიტანეთ, ეს ხმაური და ყიჟინა საშინლად მოქმედებდა ჩემს ნერვებზე. ნოვას და მისი მსგავსი არსებების პანიკური შიში მეც გადმომედო. მე არ შემეძლო არც ფიქრი, არც განსჯა... არც რაიმე რჩევა მიკითხავს ჩემი ამხანაგებისთვის და ისე გადავეშვი ბუჩქებში სორორელი ლამაზმანის კვალდაკვალ.

ასე ვირბინე ასიოდე მეტრი, მაგრამ ქალს ვერ დავეწიე, სამაგიეროდ შევნიშნე, რომ არტურ ლევენიც უკან მომყვებოდა; როგორც ჩანს, პროფესორი ანტელი ჩამოგვრჩა, რადგან მის ასაკში ამგვარი სრბოლა წარმოუდგენელი იყო. ახალგაზრდა ფიზიკოსი რომ გამითანაბრდა, ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ და სირცხვილის ალმურმა სახე აგვიწვა. მე უკვე ვაპირებდი, მეთქვა

ლევენისათვის, რომ დავბრუნებულიყავით ან უბრალოდ დაგვეცადა პროფესორისთვის, მაგრამ უცებ სრულიად განსხვავებულმა ხმებმა გვაიძულეს სიმწრით შევმხტარიყავით.

შეცდომა გამორიცხული იყო - ჯუნგლებში სროლის ხმა გაისმა... ერთი.. მეორე... მერე კიდევ და კიდევ, არათანაბარი პაუზებით, ხან თითო-თითო, ხან ორ-ორი... ზუსტად ისევე, როგორც ჩვენი მონადირეების თოფებს შეუძლიათ. სროლა საიდანღაც იქიდან ისმოდა, რომელ მხარესაც ბელადებმა თავისი ტომის წევრები წაიყვანეს. სანამ რამეს მოვისაზრებდით, მოალყეები ჩვენც მოგვიახლოვდნენ და კვლავ პანიკამ შეგვიპყრო. არ ვიცი - რატომ, მაგრამ სროლა ნაკლებად უფრო სახიფათოდ მეჩვენებოდა, ვიდრე ეს ჯოჯოხეთური კონცერტი. არც ახლა დავფიქრებულვარ და თავს გაქცევით ვუშველე, არტურ ლევენმაც მე მომბაძა.

ასე სირბილით მივაღწიეთ იმ ადგილს, საიდანაც სროლის ხმა ისმოდა. იქ შევედქი, დავიხარე და ხოხვით დავიწყე გადაადგილება. ლევენიც კვალდაკვალ მომყვა და ასე ავცოცდით პატარა ფერდობზე, რომლის ყველაზე მაღალ წერტილზე სულის მოსათქმელად შევჩერდით. ქვემოთ დაშვება რომ დავიწყეთ, წამიერად ბუჩქებიდან თავი ამოვყავი და... გავშეშდი! სანახაობა, რაც ჩემს თვალწინ გადაიშალა, იმდენად გამაოგნებელი იყო, რომ ჩვენს ადამიანურ გონებასაც არ შეეძლო მისი გააზრება...



### მეცხრე თავი

იმაში, რაც მე დავინახე, ბევრი რამ იყო საოცარი და საშინელი, მაგრამ თავდაპირველად მთელი ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა არსებამ, რომელიც ჩემგან ოცდაათიოდე ნაბიჯზე გაუნძრევლად იდგა და ჩვენსკენ იყურებოდა.

მე გაოცებისაგან ლამის ყვირილი აღმომხდა. დიახ, დიახ, მიუხედავად შექმნილი პანიკისა, მიუხედავად მთელი ჩვენი ტრაგიზმისა - ჩვენ ხომ მონადირეებსა და მათ მსხვერპლთა შორის აღმოვჩნდით - მიუხედავად ყოველივე ამისა, გაოცების გამაოგნებელმა გრძნობამ ჩემში ყველაფერი დათრგუნა, როცა დავინახე არსება, რომელიც მსხვერპლის გამოჩენას ჩასაფრებული ელოდა.

დიახ! ეს იყო უზარმაზარი ტანის გორილა!

ამაოდ ვცდილობდი დამერწმუნებინა საკუთარი თავი, რომ ჭკუიდან შევიშალე... არა, ჩემი გონება ნორმალურად მოქმედებდა და არაფერი შემშლია. გორილას ხილვა სორორაზე თავისთავად დიდი საოცრება არ გახლდათ, მაგრამ ჭკუიდან შესაშლელი ის იყო, რომ გორილა შესანიშნავად იყო ჩაცმული, თითქმის ისევე, როგორც ადამიანი, და ამ სამოსში ბუნებრივად და თავისუფლად გრძნობდა თავს. დიახ, სწორედ ამ ბუნებრიობამ იქონია ჩემზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება. თვალის პირველი შევლებისთანავე მივხვდი, რომ მაიმუნი ვინმესაგან საგანგებოდ ჩაცმულ-გაწვრთნილი არ გახლდათ. ტანსაცმელი ისეთივე საჭირო და აუცილებელი რამ იყო მისთვის, როგორც სიშიშვლე ნოვასა და მისი თანატომელებისათვის.



გორილას ისეთივე კოსტუმი ეცვა, როგორითაც ადამიანები იმოსებიან ხოლმე საგანგებოდ მოწყობილ ან ოფიციალური პირებისათვის გამართულ საჩვენებელ ნადირობაზე. კაცს ეგონებოდა, რომ მისი ყავისფერი კურტაკი პარიზის ატელიეში იყო შეკერილი, მის ქვეშ კი მოუჩანდა კუბოკრული პერანგი, როგორითაც ჩვენი სპორტსმენები იმოსებიან ხოლმე. ბრიჯები მაღალყელიან წინდებში ჰქონდა ჩატანებული და მსგავსება ამით მთავრდებოდა: ფეხსაცმელის ნაცვლად გორილას ფეხზე შავი, სქელი ხელთათმანი ჰქონდა წამოცმული.

დიახ, ეს იყო გორილა! საყელოს ზემოთ ჩანდა შავი ბალნით გაბანჯგვლული მახინჯი, წაწვეტებული თავი ამ არსებისა, რომელსაც ცხვირი ჩვეულებრივ მიჭეჭყილი ჰქონდა და ყბებზედაც უზარმაზარი ეშვები მოუჩანდა. გორილა ოდნავ წინ იყო გადმოხრილი, როგორც მსხვერპლის მომლოდინე მონადირეს სჩვევია, და გრძელ ხელებში თოფი ეჭირა.

უცებ გორილამ ყურადღება დაძაბა. მეც მომესმა ჩემგან მარჯვნივ ბუჩქებში ჩუმი შარიშური. გორილამ თავი აწია, იარაღიც შემართა და სასროლად მოემზადა. შევნიშნე, რომ ფერდობზე ერთ-ერთი ლტოლვილი ეშვებოდა და სურვილი გამიჩნდა დამეყვირა, გამეფრთხილებინა, რომ მაიმუნი მას უთვალთვალებდა. მაგრამ ვერ შევძელი და ვერც მოვასწრებდი ამას - ადამიანი ირემივით გამოხტა მდელოზე და სროლის ხმაც მაშინვე გაისმა. ადამიანი შეხტა, ძირს განერთხა და საშინელი კონვულსიებით აღმოხდა სული.

მე მოკლულს კი არა, გორილას შევცქეროდი და სულ უფრო მეტად მაოცებდა მის არსებაში აღმოჩენილი ჩვენთვის ნაცნობი შტრიხები. ამჯერად მე ამ მაიმუნის საოცრად მდიდარმა მიმიკებმა შემაძრწუნეს; მისი სახე ჯერ მოლოდინით იყო დაძაბული, შემდეგ ზუსტი გასროლის სიხარული გადაეფინა ვიწრო თვალ-წარბზე, თუმცა მთავარი ის გახლდათ, რომ ყოველ ამ გრძნობა-ემოციას გორილა წმინდად **ადამიანური** თავისებურებებით გამოხატავდა.

დიახ, ამ არსების შემზარავ იერსახეზე გონიერება სხივოსნობდა, რასაც სრულიად მოკლებულნი იყვნენ სორორელი ადამიანები. თუმცა გაოცების გრძნობა მალე შიშმა შეცვალა, რადგან საფრთხე მე თავად დამემუქრა. სროლის ხმა კიდევ რამოდენიმჯერ განმეორდა და უნებლიედ კვლავ მოკლულისაკენ გავიხედე - მდელოზე უკვე ათიოდე უსულო გვამი მოჩანდა. მე ადარანაირი ილუზია არ შემრჩა, როცა პირველი გორილის სიახლოვეს მისი მსგავსი მეორეც დავინახე და საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ ჩვენ ალყაში ვიყავით მოქცეულნი; მაიმუნები ყიჟინის თანხლებით ნადირობდნენ ადამიანებზე და მეც მათი ერთ-ერთი პოტენციური ნანადირევი ვიყავი.

შიშით გონება დამიბნელდა და კვლავ იმ გორილას შევხედე, რომელიც ჩემს მოპირდაპირედ იდგა და გზას მიღობავდა. გორილა ოდნავ გვერდით გავიდა და მის ზურგსუკან დავინახე სხვა მაიმუნი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ამ შეიარაღებული არსების მსახური გახლდათ. ეს მსახური დაბალი ტანის შიმპანზე იყო, ჯერ კიდევ მცირე ასაკის... დიახ, დიახ, შიმპანზე! მისი სამოსი, მართალია, ისეთი დახვეწილი არ იყო, როგორც გორილასი, მაგრამ თავის უბრალო პერანგსა და შარვალში იგიც სრულიად ბუნებრივად გრძნობდა თავს. ამ შიმპანზეს მოვალეობანი ჩემთვის სრულიად ცხადი გახდა, როცა გორილამ მას თოფი გადასცა და სანაცვლოდ სხვა, ტყვიადატენილი მიიღო. შიმპანზემ კი პატრონტაჟიდან მალევე ამაძვრინა ბეთელჰეიმეს სხივებში ალაპლაპებული ტყვიები და პირველი თოფის დატენვას შეუდგა.

მთელი ეს სანახაობა მე წამიერად დამატყდა თავს, ვცდილობდი მის გაანალიზებას, არსებულ ვითარებაში გარკვევას, მაგრამ საამისოდ დრო აღარ მრჩებოდა. არტურ ლევენიც ჩემს გვერდით იწვა, მასაც შიშის თავზარი დასცემოდა და მე ვერაფრით დამეხმარებოდა იმ წუთებში. ხიფათი კი ყოველ წამს სულ უფრო იზრდებოდა. მონადირეთა მიერ ატეხილი ხმაურის ატანა უკვე შეუძლებელი ხდებოდა; ამ გამაყრუებელი ყიჟინით ჩვენც ისევე ვიყავით გაოგნებულნი, როგორც სორორელი საბრალო ადამიანები, რომლებიც ჩვენს თვალწინ უაზროდ მიმორბოდნენ წინ და უკან. ამ ადამიანთა რაოდენობა კი ბევრად უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა, რადგან ბევრი მათგანი კვლავაც ცოცხალი იყო და ძლივს ახერხებდა ტყვიისაგან თავის არიდებას.

იმ ბორცვიდან, სადაც მე და ლევენი ვიმალებოდით,ნადირობის მთელი პერიპეტიები კარგად ჩანდა და ჩვენ ისიც შევნიშნეთ, რომ სორორელ ველურთა დიდი ნაწილი პანიკას არ იყო აყოლილი და იმ ნაცადი გარეული ტახებივით, რომლებიც მრავალ ნადირობას იყვნენ გადარჩენილნი, უძრავად იდგნენ ბუჩქებში და დროდადრო ფრთხილი მოძრაობით ინაცვლებდნენ ადგილს. ისინი იმასაც ახერხებდნენ, რომ გორილების მწკრივს არიდებოდნენ და რაწამს რომელიმე მონადირეთაგანი ყურადღებას სხვა მიმართულებით გადაიტანდა, მდელოზე გამორბოდნენ და მოპირდაპირე მხარეს გადაშლილ მაღალ შამბნარში გაუჩინარებით შველოდნენ თავს.

დიახ, ჩვენი გადარჩენის ერთადერთი შანსიც ეს იყო. მე ლევენს ვანიშნე, რომ გამომყოლოდა და ფრთხილად დავეშვით იმ მდელოსაკენ, რომლის გადალახვაც სიცოცხლის შენარჩუნებას ნიშნავდა. ბუჩქების უკანასკნელ წყებას რომ მივაღწიეთ, რაღაც ეჭვმა და სირცხვილმა დამიწყო გულის ღრღნა: ნუთუ მე - ადამიანი! - იმას უნდა ვცდილობდე, რომ როგორმე ეშმაკობით ვაჯობო მაიმუნს?! ეს ჩემს ღირსებას არაფრით ეთანხმებოდა! არა, მე უნდა ავდგე და ჯოხით ავუჩრელო გვერდები ამ გაცოფებულ ცხოველებს! მაგრამ გორილების მორიგმა ყიჟინმა მალევე გამომაფხიზლა და ეს უსარგებლო პატივმოყვარეობა კარგახნით გადამავიწყა.

ნადირობა დასასრულს უახლოვდებოდა და გამაყრუებელი ხმაური სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა გამარჯვებულთა ხორხოცს. ჩვენ უკვე მზად ვიყავით სასიკვდილო ზონის გადასალახავად, რომ უცებ ჩემს ზურგსუკან უზარმაზარი გორილა დავინახე, რომელიც ყურისწამღებ ხმებს გამოსცემდა და თოფის ლულით ტოტებში იკვლევდა გზას. ეს გორილა თავის მონადირე თანამოძმეებზე ბევრად უფრო საშინელი რამ ჩანდა. ლევენი მთლად აცახცახდა, მე კი სუნთქვაშეკრული კვლავ ველოდი შესაფერის წამს, რომ მდელო გადამერბინა.

და ასეთ ვითარებაში ჩემმა საბრალო ამხანაგმა თავისი გაუაზრებელი ქმედებით მე გადამარჩინა... ლევენი უცებ წამოხტა და მდელოზე გაიჭრა, სადაც იგი პირველივე ჩასაფრებული მსროლელის თოფის ლულას გაუთანაბრდა; სროლის ხმაც მაშინვე გაისმა და, ლევენი, თითქოს ორად გაპობილი, მდელოზე ჩამწკრივებულ გვამებში ჩაიკარგა. მე მის დასატირებლად არც დრო მქონდა და არც საშუალება, ან რა უნდა მეშველა მისთვის?! დავძაბე ჩემი სხეულის ყოველი კუნთი და ველოდი იმ მომენტს, როცა გორილა თოფს დასატენად გადასცემდა თავის მსახურს; და რაწამს ეს მოხდა, გამოვვარდი ბუჩქებიდან და თვალის დახამხამებაში გადავსერე უმოკლესი მანძილი მდელოდან შამბნარამდე. სიზმარივით აღვიქვი ის მომენტი, გორილა რომ ზე წამოიმართა და იარაღს წაატანა ხელი, მაგრამ მან დამიზნება ვერ მოასწრო, რადგან მე უკვე მაღალ ბალახებში გავრბოდი. ჩემს ყურს მისი გინებისმაგვარი რეპლიკა მოსწვდა, მაგრამ მე წამითაც არ შევჩერებულვარ ამ მორიგი მოულოდნელობის გასააზრებლად.

დიახ, გორილას ჭკუით ვაჯობე და გავიმარჯვე!მე აღტაცებულმა სიამაყემ შემიპყრო, რაც იმ წამს ჩემს შელახულ თავმოყვარეობას სალბუნივით მოეფინა. გავრბოდი მთელი ძალით და ვგრძნობდი, რომ სულ უფრო ვშორდებოდი ხოცვა-ჟლეტის ადგილს. მალე მონადირეთა ყიჟინაც დაცხრა და მივხვდი, რომ სიკვდილს გადავურჩი.



გადავურჩი? ვაი, რომ ღირსეულად ვერ შევაფასე სორორელი მაიმუნების მზაკვრობა. ნაბიჯი ოდნავ რომ შევანელი, უცებ რაღაც ხაფანგს წამოვეგე, რომელიც შამბნარში იყო ჩადებული. თუმცა ეს ხაფანგი კი არა, მიწის ზედაპირზე გაფენილი გრძელი ბადე იყო, რომელშიც გავიხლართე და, როგორც აღმოჩნდა, მასში ჩემსავით არაერთი სორორელი ადამიანი ჩავარდნილიყო. ირგვლივი მიმოხედვა რომ შევძელი, გაირკვა, რომ ეს ბადე არამარტო შამბნარს, ტყის მთელ გაყოლებას ჰქონდა შემოვლებული და მასში ყველა ის საბრალო ველური გახლართულიყო, ვინც მდელოზე სიკვდილს გადაურჩა.

ცხოველურმა,ბრმა მრისხანებამ შემიპყრო,როცა ვიგრძენი,რომ გადარჩენის ყველა გზა მოჭრილი მქონდა. მრისხანება იმდენად ძლიერი იყო, რომ გონიერება მეც დამეკარგა და იმ ბადეში მოფართხალე უგნურ სორორელებს დავემსგავსე. ამის დასტური იყო ის, რომ მე ვაკეთებდი იმას, რაც უარეს მდგომარეობაში მაგდებდა - ვფართხალებდი, უაზროდ ვიქნევდი ხელფეხს და საბოლოოდ ისე გავიხლართე ბადეში, რომ განძრევაც აღარ შემეძლო.

...ისღა დამრჩენოდა, რომ გავყუჩებულიყავი და გორილების მოსვლამდე სიცოცხლის უკანასკნელი წუთები მეთვალა...

### მეათე თავი

მალე მონადირეებიც გამოჩნდნენ და თვალნათლივ დავინახე, როგორ მიახლოვდებოდა სიკვდილი. მე მეტს არც ველოდი ამ საზარელი ქმნილებებისაგან, რომელთა სისატიკე მთელი სიცხადით გამოჩნდა მდელოზე გამართული ხოცვაჟლეტისას.

წინა რიგში უკვე ნაცნობი გორილები იდგნენ და ახლოს რომ მოვიდნენ, შევნიშნე, რომ მათ ხელთ იარაღი აღარ ეპყრათ; სულში რაღაც იმედის სითბო ჩამეღვარა. გორილებს მათი მსახური შიმპანზეებიც მოსდევდნენ და მთელი ეს კამპანია ერთგვარი სიდარბაისლით იყო აღჭურვილი, რაშიც სისხლისღვრის გაგრძელების ზრახვანი აღარ ილანდებოდა.

დიახაც, ამ პლანეტის პარადოქსების ჩემეული ცოდნაა საჭირო საიმისოდ, რომ ამგვარ აღლუმს სიდარბაისლე უწოდო, მაგრამ ეს ნამდვილად ასე იყო! - გორილები მართლაც რომ დარბაისელი არისტოკრატებივით მოირწეოდნენ ჩვენსკენ. ისინი მხიარულად ებაასებოდნენ ერთმანეთს ჩემთვის გაუგებარი, მაგრამ სრულიად დანაწევრებული მეტყველების გამოყენებით. მათს სახეზე ასახული იყო ადამიანურ გრძნობათა ყველა ის შუქჩრდილი, რომელთა მოძიებასაც ამაოდ ვცდილობდი ნოვას გამომეტყველებაში.

...ნეტავი რა დაემართა ნოვას?!

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

*ვეკითხებიან- ვუპასუხებთ*

... „მაიმუნების პლანეტას“ ჩვენ ვთარგმნით ინტერნეტში მიკვლეული სრული რუსული ტექტიდან (...სამწუხაროდ, ფრა–ნგული არ ვიცით), თუმცა გვაქვს 1967 წელს გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიის“ მიერ გამოცემული წიგნიც - „Пьер Буль. Планета обезъян. Рассказы“.

... ფოტოებს მოვიპოვებთ,როგორც ინტერნეტული საიტებიდან, ასევე ორიგინალური ვიდეოფილმიდან.

... სხვათა შორის, პიერ ბულის რომანის ეკრანიზირებას მოჰყვა მრავალრიცხოვანი კინო და ტელევერსიები და უკანასკნელი მათგანი გასულ წელსაც კი გადაუღიათ აშშ-ში. ჩვენს ხელთ არსებული ფილმი კი პირველია ყველა დანარჩენს შორის, მას „ოსკარის“ საგანგებო პრემიაც აქვს მოპოვებული საუკეთესო გრიმისათვის და მასში მთავარ როლს ჩარლტონ ჰესტონი თამაშობს (...ფილმში მას ულის ნერუ კი არა, ამერიკულ ყაიდაზე ტეილორი ჰქვია).

... როგორც ერთმა ჩვენმა მკითხველმა გვაცნობა 1992 წელს ერთ-ერთ ქართულ პერიოდულ ჟურნალში დაუწყიათ ამ რომანის თარგმანის ბეჭდვა, მაგრამ, იმავე მკითხველის ინფორმაციით, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ დაუბეჭდავთ. ჩვენ, სამწუხაროდ ვერ მივაგენით აღნიშნულ გამოცემას და თუ თქვენ რაიმე ინფორმაცია გაგაჩნიათ, გთხოვთ, გვაცნობოთ.

*ზოოლოგიური კუთხე*

## ჩვენი წინაპრები და შთამომავლები?!

გორილა (**Gorilla**) ადამიანისებრი მაიმუნია; მამრი გორილების სიმაღლე 2 მეტრამდე, ხოლო წონა 250 კილოგრამამდე აღწევს, თუმცა ყოფილა შემთხვევები, რომ ამ მონაცემებზე უფრო დიდი გორილებიც უნახავთ. გორილას რთული, კარგად განვითარებული მუსკულატურა აქვს. თავის ტვინის ქალას მოცულობა 500-600 კუბ. სანტიმეტრს აღწევს.

გორილების ძირითადი სამოსახლოა ეკვატორული აფრიკის გაუვალი ტყეები (კამერუნსა და კონგოს შორის). ცხოვრობენ ჯოგებად. გორილა ბალახისმჭამელი არსებაა და თავისი თვინიერი, არააგრესიული ხასიათით გამოირჩევა. მათი რიცხვი დღეს მკვეთრადაა შემცირებული ტყეების განადგურებისა გამო და ამიტომაც საერთაშორისო წითელ წიგნშია შეტანილი. სხვა მაიმუნებისაგან განსხვავებით, გორილას შეუძლია გამრავლება მისთვის არაბუნებრივ პირობებში და ზოოპარკებში. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 25-30 წლით განისაზღვრება.

ამერიკელმა მეცნიერმა დაიან ფოსიმ 1963 წლიდან 1985 წლამდე თითქმის მთელი თავისი ცხოვრება რუანდაში მობინადრე გორილების ჯოგში გაატარა და შემდეგ გამოაქვეყნა საკმაოდ საინტერესო ნაშრომი **More Years With Mountain Gorillas,** რომლის ქართულ თარგმანსაც მალე შემოგთავაზებთ.



# აფორიზმების ანთოლოგია

1226. ქორწინება ერთადერთი აზარტული თამაშია, რასაც ეკლესიაც კი კეთილგანწყობით უყურებს.

**უცნობი ავტორი**

1227. მათ, ვინც აზარტულ თამაშებს თამაშობს, ფული არ სჭირდებათ, ხოლო მათ, ვისაც ფული სჭირდებათ, სათამაშოდ საშუალება არ აქვთ.

**უცნობი ავტორი**



1228. არ არსებობს ქალი, რომელიც აზარტული თამაშების მოყვარულ ქმართან გაძლებს, ერთადერთი შემთხვევის გამოკლებით - თუ ქმარი ყოველ საღამოს იგებს.

**თომას დიუარი**

1229. ლატარია ყველაზე ზუსტი საშუალებაა ოპტიმისტების აღსარიცხავად

**უცნობი ავტორი**

1230. არსებობს ორი შემთხვევა, როცა აზარტული თამაში არ უნდა ითამაშო: 1. როცა ამის საშუალება არ გაქვს და 2. როცა ამის საშუალება გაქვს.

**უცნობი ავტორი**

1231. შულერი არის კაცი, რომელიც ფორტუნის შეცდომებს ასწორებს.

**ძველებური გამონათქვამი**

1232. საშინელება ის კი არ არის, რომ აგებ, არამედ ისაა, რომ თამაშის გაგრძელება აღარ შეგიძლია.

**უცნობი ავტორი**

1233. როცა ადამიანებს აზ-რთა გაცვლა-გამოცვლა არ შეუძლიათ, ბანქოს თამაშში უცვლიან ერთმანეთს ქაღალდებს.

**არტურ შოპენჰაუერი**

1234. თამაშის წესები უნდა იცოდე, მაგრამ უმჯობესია, თუ თავად დაადგენ მათ.

**ანჯეი სტოკი**

1235. ნუ უთხრი ძირს სხვას, მას ეს, შესაძლოა, საძირკველი ეგონოს.

**უცნობი ავტორი**

1236. ცდუნება არის სუნამო, რომელსაც ყნოსავ მანამ, სანამ მთელი ფლაკონის ხელში ჩაგდება არ მოგინდება.

**ჟან პოლ ბელმონდო**

1237. მთავარი სწრაფი სირბილი კი არა, ადრე გაქცევაა.

**ფრანსუა რაბლე**

1238. არასოდეს დაივიწყოთ ხარისხი არც თამაშში და არც კარიერაში; ასე მაგალითად: კუბო ისეთი უნდა გაიკეთოთ, რომ მთელი ცხოვრება გეყოთ!

**უცნობი ავტორი**

## ფსევდონიმები

**94. გროსი** ჟორჟ - გეორგ ერენფირდი. XX ს გერმ. გრაფიკოსი.
**95. დალ მონტე** ტოტი - ანტონიეტა მენეგელი. XX ს იტალიელი მომღერალი ქალი.
**96. დარიო** რუბენ - ფელიქს გარსია სარმიენტო. XIX-XX სს ნიკარაგუელი პოეტი.
**97. დევაერი** პატრიკ - ჟან მარი ბურდო. ფრანგი კინომსახიობი.
**98. დეკური** ჟაკ - დანიელ დეკურდემანში. XX ს ფრანგი მწერალი.
**99. დეპი** ჯონი - ჯონ კრისტოფერი. ამერიკელი კინომსახიობი.
**100. დესტინოვა** ემა - ემილია კიტლოვა. ჩეხი მომღერალი.
**101. დილანი** ბობ - რობერტ ალენ ციმერმანი. ამერიკელი როკ-მუსიკოსი.
**102. დინ ლინი** - ძიან ბინჯი. XX ს ჩინელი მწერალი ქალი.
**103. დიტრიხი** მარლენ - მარია მაგდალენა ფონ ლოში. ამერიკელი კინომსახიობი.
**104. დიუმენილი** - მარი ფრანსუა მარშანი. XVIII ს ფრანგი მსახიობი.
**105. დომენიკონო** - დომენიკო ცამპიერი. XVII ს იტალიელი ფერმწერი.
**106. დონ ამინადო** - ამინად შპოლიანსკი. XX ს რუსი პოეტი.
**107. დონატელო** - დონატო დი ნიკოლო დი ბეტი ბარდი. XV ს იტალიელი მოქანდაკე.
**108. დოსი** დოსო - ჯოვანი დე ლუტერო. XV-XVI სს იტალიელი ფერმწერი.
**109. დუგლასი** კერკ - ისურ დემსკი. ამერიკელი კინომსახიობი.
**110. დუისბურგი** თეო ვან - კიუპერ კრისტიანი. XX ს ნიდერლანდელი მხატვარი.
**111. დურბინი** დინა - ედნა მეი. ამერიკელი კინომსახიობი.
**112. ელინ პელინი** - დიმიტრ სტოიანოვი. XIX-XX სს ბულგარელი მწერალი..

(შემდგომი გაგრძელებით)

***ამავე ნომრის პასუხები:***

**რეიტინგი**:

1. ბოჰემია. 2. მონტესუმა. 3. ატენი. 4. სეპია. 5. ასტეროიდი. 6. ტრამალი. 7. ტორონტო. 8. კეისარი. 9. ნიმფა. 10. კორსანტია. 11. სენტენცია. 12. კოლიზეუმი. 13. უნარი. 14. რიოსი. 15. სფინქსი. 16. ბოილი. 17. არძინბა. 18. ლონდონი. 19. ომარი. 20. კრემფორდი. 21. პლანტაცია. 22. ფიალა. 23. დიოდი. 24. ქანდაკება. 25. ოტიტი. 26. ალოტროპია. 27. კარბონატი. 28. ონილი. 29. თურქეთი. 30. ბროლი. 31. ბრადისი. 32. რუშდი. 33. პასტერი. 34. მტერი. 35. გროგი. 36. მარაო. 37. ექსკურსია. 38. ალკალოიდი. 39. ათაბაგი. 40. მატიასი.

## ომარ ხაიამის რობაიები

71
ქამთასრბოლა თუკი ჩვენი ხოცვაჟლეტით არ დაცხრა,
ზეცა, გინდა, შვიდი იყოს და, თუ გინდა, რვა და ცხრა;
თუკი სიკვდილს არ ავცდებით
არც მე, არც შენ და არც სხვა,
სულერთია, ჭია დაგხრავს, თუ ნადირი დაგაცხრა.
72
მე ეს ღვინო არას მავნებს, სავსე დოქთან დამსვი მე,
აივსე და შესვი ჯამი, სავსე თასი მასვი მე;
ბედისწერა კვალში დაგვდევს: თარსი შენ და ნავსი - მე,
სანამ დოქად გადაგვზელენ, ჯამი - შენ და თასი - მე.
73
აფსუს, მთელი მონაგები ჩვენ ხელიდან გაგვიფრინდა
და სიკვდილმა სისხლის ხელით ეს სიცოცხლე დაგვიფლითა;
იმქვეყნისკენ ვინც წავიდა, არ მოსულა არავინ და
არც ის უთქვამთ - მოგზაური რა წყვდიადში ჩაიბინდა.
74
მოდი, გული გამიხარე, მოდი ჩემთან, ჩემო კარგო,
ეგებ შენი სილამაზით ჩემს ვაებას რამე არგო?!
შენთან მინდა მოვილხინო, შევსვა ერთი დოქი ღვინო,
სანამ დოქად გადაგვზელენ, დოქში მინდა თავი ჩავრგო.
75
დოქის ბაგეს ბაგე ვკიდე, ვნების ცეცხლი მოვიკიდე,
დღეგრძელობა ვეძიე და დოქის ყელში ჩავეკიდე;
დოქმა მითხრა: „ამ ცხოვრებას, ძმაო, ფრთხილად მოეკიდე
ღვინო სვი და ნუ გგონია, რომ ამქვეყნად მოხვალ კიდე“.

15

მთარგმნელი ალ.ელერდაშვილი

# თავსატეხი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 15 | | 30 | | | | 26 | | 6 | | 25 | | 15 | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | | 4 | 8 | 3 | 5 | 32 | 3 | 8 | 32 | 5 |
| | 18 | | 5 | | 12 | | 22 | | 15 | | 33 | | 8 | |
| 27 | 8 | 16 | 24 | 5 | 9 | 5 | | 28 | 8 | 10 | 28 | 22 | 29 | 5 |
| | 15 | | 33 | | 22 | | 28 | | 9 | | 20 | | 33 | |
| 17 | 14 | 8 | | 22 | 14 | 9 | 5 | 4 | 8 | 31 | 5 | 8 | | |
| | 8 | | 28 | | 33 | | 15 | | 5 | | 32 | | 25 | |
| 15 | 1 | 8 | 13 | 29 | 3 | 22 | 14 | 8 | | 20 | 5 | 20 | 3 | 5 |
| | 5 | | 8 | | 5 | | 22 | | 19 | | | | 22 | |
| | | 7 | 3 | 2 | | 8 | 9 | 14 | 33 | 3 | 29 | 5 | 9 | 5 |
| | 25 | | 8 | | 27 | | 22 | | 19 | | 22 | | 33 | |
| 11 | 8 | 1 | 15 | 33 | 16 | 5 | | 13 | 3 | 5 | 13 | 33 | 20 | 5 |
| | 3 | | 2 | | 33 | | 21 | | 5 | | 8 | | 8 | |
| 2 | 15 | 2 | 23 | 33 | 29 | 8 | 3 | 5 | | 10 | 9 | 22 | 3 | 5 |
| | 8 | | 5 | | 8 | | 8 | | | | 5 | | 5 | |

## თავსატეხის „გასაღები“ სურათში

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 |



# მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფული

27. **ლატი** (=100 სანტიმს) - ლატვიის ფულის ერთეული.

აღდგენილი იქნა 1993 წელს; მანამდე 1992 წლის მაისში შემოიღეს ლატვიური რუბლი, რაც რუსული ფულის პარალელურად მოქმედებდა. 1993 წელს გამოჩნდა პირველი ლატები - ხუთი ლატის ბანკნოტი, რაც ძალიან წააგავდა ომამდელი ეპოქის ძველ ლატვიურ ფულს. მალე გამოჩნდა 10, 20, 50, 100 და 500 ლატიც ლატვიური ლატი შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე მიუნჰენის ფირმა „გიზეკე უნდ დევრიენტის“ მიერ და, მიუხედავად სხვა სიუჟეტებისა, ძალიან ჰგავს გერმანულ მარკას.




28. **ლეი** (=100 ბანია) - მოლდოვის ფულის ერთეული.

შემოღებულ იქნა 1993 წელს. თავდაპირველად ბრუნვაში გაუშვეს ერთი ზომის, მაგრამ სხვადასხვა ფერის 1, 10 და 20 ლეის ბანკნოტები; ამგვარი ფული დიდ სირთულეებს ქმნიდა ბრუნვისას და, გარდა ამისა, ყალბისმქმნელთათვის მათი დამზადება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ამიტომ მოლდოვის ეროვნულმა ბანკმა საფრანგეთში დაბეჭდა ახალი ტიპის 1 და 10 ლეის ღირებულების ბანკნოტები; მოგვიანებით მათ დაემატა 50 და 100 ლეიც.

29. **ლირა** - თურქეთის ფულის ერთეული.

შემოღებულ იქნა 1844 წელს და უდრიდა 100 პიასტრს. მუსტაფა ქემალ ათათურქის პრეზიდენტობის შემდეგ (1923-1938) კი ლირას შემედგენელ ნაწილს დაერქვა კურუში, ხოლო თავად ლირას ბანკნოტებზე აუცილებელი გახდა ათათურქის პორტრეტის მოთავსება. ამჟამად თურქეთში ბრუნვაშია 10 000, 20 000, 50 000, 100 000, 250 000, 500 000 და 1 000 000 ლირას ღირებულების ბანკნოტები. 100 000 ლირაზე დიდი ბანკნოტები თურქეთში 1990 წლის შემდეგ გამოჩნდა, 1995 წელს კი - „მილიონიანი“ ლირაც.




30. **ლირა** (=100 ჩენტეზიმოს) - იტალიის ფულის ერთეული.

„ლირა“ წარმოდგა სიტყვიდან Libra, რაც წონის ერთეულს, გირვანქას ნიშნავს. იტალიური ფული 953 წლიდან იღებს სათავეს, თუმცა, როგორც ქვეყნის ძირითადი ფულადი ერთეული კანონით 1862 წელს გამოცხადდა. ამჟამად ბრუნვაშია 1 000, 2 000, 5 000, 10 000, 50 000, 100 00 და 500 000 ლირას ღირებულების ბანკნოტები.

იტალიური ფული მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული და ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს წარმოადგენს. ლირა ვატიკანის ტერიტორიაზედაც მოქმედებს.




31. **ლიტი** (=100 ცენტს) - ლიტვის ფულის ერთეული.

შემოღებულ იქნა 1993 წელს და თავდაპირველად საბჭოთა ფულთან ერთად მოქმედებდა. ლიტვის ფულს მეტსახელად „ვაგნორიკებსაც“ უწოდებენ, რადგან პრემიერ-მინისტრის, ვაგნორიუსის დროს დაიბეჭდა აშშ-ს კომპანია „ბენკნოტ კორპორეიშენის“ მიერ. ამჟამად ბრუნვაშია 1, 2, 5, 10, 20, 50 და 100 ლიტის ღირებულების ბანკნოტები.




# გასული ნომრის პასუხები

**პირველი გვ.** 1. აივანი. 2. მონოგრაფია. 3. სიღნაღი. 4. გეიშა. 5. ბოვინი. 6. ძუ. 7. ქინძი. 8. ბინოში. 9. ევოლუცია. 10. კატო. 11. ნიშნიანიძე. 12. ნავარდი. 13. იარაღი. 14. ციყვი. 15. უგო. 16. გვატემალა. 17. შხეფი. 18. ხეჩო. 19. აგუზაროვა. 20. ზარანდია. 21. ურსულა. 22. ოჩიაური. 23. არფისტი. 24. ვიზია. 25. მუტი. 26. ნადიმი. 27. დაჩი. 28. შატილი. 30. ჩელო.

**(მე-4-5 გვ.) თარაზულად**: 1. მარატი. 4. როზენკრანცი. 9. დითირამბი. 16. ტრაგიკომედია. 17. ცოლიკაური. 18. ბერდია. 21. ტრისტანი. 22. რეგისტრაცია. 23. მორიარტი. 26. ლეაო. 27. ალენი. 28. უბანი. 29. სიმეონე. 30. იხვი. 35. გირაო. 36. წალვერი. 37. შოსტაკოვიჩი. 42. მასკარადი. 43. ჭუპრი. 44. მარციპანი. 49. პრინციპი. 50. ავტობიოგრაფია. 51. ინგილო. 54. ტური. 55. ორგია. 56. სეკვესტრი. 57. დუტრუელი. 61. გზირი. 62. სეჩუანელი. 63. კოტაიკი. 64. ოტია. 69. მუყაო. 70. შლოკა. 71. პოლიკლინიკა. 76. ტონი. 77. ტარტაკოვერი. 78. ძმარი. 79. სცილა. 84. პრერაფაელიტი. 85. ონანა. 86. ინდრა. 87. მტლე. 91. მედალიონი. 92. პავილიონი. 93. ინდევორი. 97. ლოტა. 98. კადრილი. 99. სპექტაკლი. 100. გრიმო. 105. მაშია. 106. ჰიგინსი. 107. მაიკროფტი. 112. ნერუდა. 113. დიუნანი. 114. ლუზიტანია. 115. კუკა. 119. როსი. 120. ზუალი. 121. ქანაანი. 122. სტერეოტიპი. 126. გონზალო. 127. გეო. 128. ბაიკონური. 129. იმიჯი. 135. ინაური. 136. ჰაერწვეთოვანი. 137. ფეოდი. 141. კასავეტესი. 142. ბიგლი. 143. კოლექციონერი. 144. ილიე. 145. ლატიმერია. 146. ჭიჭიკია. 147. ნიკალა. **შვეულად**: 1. მატიტელა. 2. რეანიმაცია. 3. ტვისტი. 5. ოჯეი. 6. ენისეი. 7. ამონტონი. 8. ცვიკაუ. 10. იერი. 11. ანემია. 12. ბუდარიხა. 13. კორნელი. 14. პაციფისტი. 15. შატილიონი. 19. თითბერი. 20. სოსნოვეცი. 24. ინდაური. 25. თეოკრატია. 31. ლატანცი. 32. შვედოვი. 33. როდრიგესი. 34. ოჩოპინტრე. 38. კომპოტი. 39. შკიპერი. 40. ქუჩიშვილი. 41. ინციდენტი. 45. დიურეზი. 46. კოქევნიკოვი. 47. პატრიოტიზმი. 48. როსინანტი. 52. ლილეო. 53. დუნკანი. 58. არტუა. 59. დუბლიკატი. 60. მაკლორენი. 65. გესტაპო. 66. პალატალიზაცია. 67. ხოი. 68. უკაცო. 72. ინტელექტი. 73. სტალინირი. 74. ფრონტისპისი. 75. პლათფორმა. 80. დახაუ. 81. ანტიოქე. 82. ფრონე. 83. მესიე. 88. ფაუ. 89. ინჰალაცია. 90. დეკრეტი. 94. პლეიშნერი. 95. ალბიონი. 96. ბლოკბასტერი. 101. ლაუდა. 102. ჰიუნდაი. 103. ვოლიერი. 104. ბუდარია. 108. კრასნოიარსკი. 109. დიკლო. 110. კურნიკოვა. 111. თურინჯი. 116. ნუღლი. 117. სამართალი. 118. კოსმოდრომი. 123. ოზეროვი. 124. ფედრა. 125. ანენკოვი. 130. ბისკაი. 131. ჰაქსლი. 132. ქვეითი. 133. ბენცი. 134. მედინა. 138. ეტნა. 139. პერი. 140. რემა.

**(მე-6 გვ.) ქალის საიდუმლო** 1. ხარკამეჩი. 2. ნიმფომანია. 3. ფეხმძიმობა. 4. კლეოპატრა. 5. მტლაშამტლუში. 6. მიყვარხარ. 7. დუენია. 8. ექსპენსიანი. 9. კონსულტაცია. 10. მამოგრაფია. 11. მთვარე. 12. როტონდა. 13. სარაფანი. 14. ცდუნება. 15. გორილა. 16. ლელუში. 17. პომპადური. 18. ჩადრი. 19. გინეკოლოგია. 20. პაპასკირი. 21. ფინანსური.

**(მე-10-11 გვ.) თარაზულად**: 1. დომოღედოვო. 5. ტაქსილი. 8. მენდიეტა. 15. რეჟიმი. 16. პროკურორი. 17. სარწყუნისი. 20. ობრუჩევი. 21. ართროპოდები. 22. საველე. 25. ავტოგრაფი. 26. უსუნო. 27. ქაოსი. 32. ლაცო. 33. კვირიკაძე. 34. აზგარდი. 35. ბონჩ. 39. ინდოელი. 40. მტკვარი. 41. ბეხტერევი. 46. ატიმია. 47. მწირი. 48. ბერანჟე. 49. ბანზაი. 53. მიასნიკოვი. 54. სანტანა. 55. ფოლიანტი. 58. ნაია. 59. გვარდიოლა. 60. სტოკჰოლმი. 64. ნეფრო. 65. განგური. 66. ოდოია. 67. პირს. 72. ვალიადოლიდი. 73. მთავარსარდალი. 77. მედოკი. 78. ვოზნესენსკი. 79. ავემარია. 82. წიბო. 83. სოუსი. 84. ხმება. 85. წაულა. 86. ებრო. 91. მელირება. 92. მასტერკარდი. 93. ედირნე. 96. ანანიაშვილი. 97. ვაშლოვანი. 101. სამურზაყანო. 102. ხურდა. 103. კუკუშკა. 108. კომბაინერი. 109. ოტული. 110. უქიმერიონი. 113. მალაგა. 114. აბაკანი. 115. კორსარი. 116. გორა. 120. რაია. 121. ქველმოქმედება. 122. ინტერიერი. 123. ალიტალია. 124. მასაჩუსეტსი. 125. ფუჩიკი. **შვეულად**: 1. დარსონვალი. 2. მაჟორი. 3. დემიჩევი. 4. ვირი. 6. ავრორა. 7. სერაპისი. 9. ერწო. 10. დიურანსი. 11. ედიშერ. 12. არივედერჩი. 13. სკარიფიკატორი. 17. რაგბი. 18. ევდოშვილი. 19. უდინეზე. 23. ტრირი. 27. მანდატი. 28. სცინტილაცია. 29. მძივი. 30. ფაბერჟე. 31. ფონვიზინი. 36. ფოჩიანი. 37. ერნესტი. 38. ურბანიზმი. 42. გაზმანოვი. 43. მწევარი. 44. მაგნატი. 45. ნიძიუბასი. 50. სკოვოროდა. 51. შავლეგო. 52. მოლოდინაშვილი. 56. ჟირარდენი. 57. ეკვდერი. 61. მენისკი. 62. არათანაბარი. 63. შიკლგრუბერი. 68. თანდებული. 69. ალფონსო. 70. ივიკო. 71. კდემა. 74. უმრწემესი. 75. ასთმატოლი. 76. ბარომეტრი. 80. კომბინეზონი. 81. მანდელა. 87. ორანგუტანგი. 88. მალვინა. 89. დალანდი. 90. ადენაუერი. 94. გამყარებული. 95. შვეულმფრენი. 98. იარმოლნიკი. 99. მუმლი. 100. აკროპოლისი. 104. სკუმბრია. 105. იტინომია. 106. სქესი. 107. ლიპარიტი. 111. ეკლოგა. 112. კომბლე. 117. ავლი. 118. ადიუ. 119. ზებუ.

**(მე-12 გვ.) თარაზულად**: 1. კაპასი. 4. კატლეტი. 7. ალაზანი. 14. პერგამენტი. 15. ვლადიკავკაზი. 17. სტოპერი. 18. კლონდაიკი. 19. აგრა. 23. სუნა. 24. სპეტაკი. 25. ბიტნერი. 29. ბოქლომი. 30. ჩალმა. 31. ადლერი. 35. როდარი. 36. პრიმუსი. 37. ჰადსონი. 41. ლეპტოპი. 42. კლონირება. 43. ტრიო. 47. აკაი. 48. ოსასუნა. 49. უნისონი. 53. ოსტატი. 54. შოვკოვსკი. 55. ალბენა. 58. ამბიცია. 59. არარატი. 60. ავზი. 64. ბარქაია. 65. ბურთი. 66. პლანეტა. 71. კუცი. 72. ანატოლი. 73. პიონერი. 77. ნატურა. 78. კლინიკური. 79. მიოპია. 82. აზიმუტი. 83. კანდიდატურა. 87. ტარნატი. 88. კარანტინი. 89. ოსტი. 93. რეტი. 94. ინტერნატი. 95. ფონოთეკა. 96. ონიანი. 97. პითია. 98 პენიცილინი. **შვეულად**: 1. კოპა. 2. პურიტანი. 3. სკალპი. 5. აუტი. 6. ტალონი. 8. ლოკოკინა. 9. ზავი. 10. ნიანგი. 11. მეტროპოლი. 12. იდეალიზმი. 13. ფილატელია. 16. ბლოკი. 20. მსახური. 21. სტუმარი. 22. ბრადისი. 26. ჭოგრიტი. 27. ლავსანი. 28. სეინერი. 32. ადრესანტი. 33. სმოლენსკი. 34. ბარბოსი. 38. ეპოსი. 39. კრონეკერი. 40. კორონაცია. 44. მამონტი. 45. ასტორია. 46. ბნელი. 50. სტომაქი. 51. ქვირითი. 52. სერვეტი. 56. მილიონი. 57. სტალონე. 61. ლანცეტი. 62. დუბლინი. 63. ანარქისტი. 67. ოკინავა. 68. სტილეტი. 69. მითრიდატე. 70. კაკაო. 74. დრეზინა. 75. აკვანავტი. 76. სპორტსმენი. 80. სმეტანა. 81. ადანსონი. 84. სარტრი. 85. რაუნდი. 86. დინარი. 90. ერბო. 91. ცელი. 92. კოლი.





**მე-20 გვერდი**



**მე-7 გვერდი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 25 | მ | 26 | ღ | 31 |
| ბ | 24 | ნ | 27 | ყ | 32 |
| გ | 23 | ო | 28 | შ | 33 |
| დ | 22 | პ | 29 | ჩ | 30 |
| ე | 21 | ჟ | 19 | ც | 18 |
| ვ | 20 | რ | 3 | ძ | 17 |
| ზ | 14 | ს | 15 | წ | 16 |
| თ | 13 | ტ | 12 | ჭ | 11 |
| ი | 4 | უ | 2 | ხ | 10 |
| კ | 7 | ფ | 8 | ჯ | 9 |
| ლ | 6 | ქ | 1 | ჰ | 5 |

**იაპონურები**







ი/ს **„ფანტაზია-2000“** (ნატალია ბერიკიშვლი) რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ № 5/1-2304.
ტელ.: 79-53-70, (877) 72-61-18.
e – mail – sashiko45@hotmail.com
გამოდის **ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების** რედაქტორობით
**რედკოლეგია**: ირაკლი ნაზღაიძე, გოგა ტარიელაშვილი, გიორგი ვეკუა, ლევან ელერდაშვილი

405. ჩინელს ეკითხებიან:

# 1000 კურიოზი

- როგორ მოგეწონათ მოსკოვი?
- კარგია აქ... სიმშვიდეა, სიწყნარეა... ცოტა ხალხია!..

406. პატარა გოგონა წერს პიესას:
- პრინცი, პრინცესა და ასაკოვანი კაცი - 18 წლის...

407. სამი დაქალი საუბრობს:
- მე ქმარმა ფერადი ტელევიზორი და სტერეო სისტემა მიყიდა, ახლა ვზივარ სახლში და ვტკბები.
- მე კი ვიდეომაგნიტოფონი მიყიდა, ჩავრთავ ხოლმე და ნაირ-ნაირ ფილმებს ვუყურებ.
- შენ რაღა გიყიდა? - ეკითხებიან მესამეს.
- მე... არაფერი... უბრალოდ ქმარმა მითხრა, რომ ჩემთან ერთად ჯერ კიდევ შეიძლება კინოში და თეატრში სიარული.

408. წარწერა საფლავის ქვაზე:
„...ყველა იოგურტი სასარგებლო არ არის“.

409. Идет лиса по лесу, навстречу ей - Колобок. Лиса хочет его съесть, поэтому подлизывается: “Здравствуй, Колобочек!”
А он и отвечает: “А я не Колобок, я - ежик из чернобыльского леса!”.

410. ჩერნობილის სიახლოვეს ორი „ცისფერი“ ცხოვრობს: ერთი - აქტიური, მეორე - რადიაქტიული.

411. - რა არის ქალი?
- ქალი გადანაცვლებული ცენტრის მქონე ტყვიაა. შემოიჭრება თვალში, გაივლის გულს, იტრიალებს ჯიბეში და გვერდზე გავა.

**412. ОПЕЧАТКА:**
**Ой, цветет калина**
**в поле у ручья.**
**Парня мало.**
**Дога полюбила я.**





ტურნირი ჩატარდება 12 ტურად. თქვენ უნდა ამოიცნოთ ყველა კითხვა, რათა დაიმსახუროთ ტურში დანესებული პრემია 10 ლარი (რამოდენიმე გამარჯვებულის

# ალო ფანტაზია

შემთხვევაში ეს თანხა დანაწილდება). ტურნირის საბოლოო გამარჯვებული დამატებით მიიღებს კიდევ 10 ლარს, ასე რომ, მთელი ტურნირის საპრიზო ფონდი შეადგენს 120+10 ლარს. დაგვირეკეთ შაბათს 18-დან 19 სთ.30 წუთამდე ტელეფონებზე 79-53-70 ან 8.77. 72-61-18.

## მეცხრე ტურის პასუხები და შედეგები

1. ...როცა წიგნის ავტორები ცოლ-ქმარი არიან. 2. არისტოტელეს ჯერ დუმილი უნდა ესწავლებინა და მერე ლაპარაკი. 3. ქალი თავის თავს თვლიდა 36 წლისად.

მეცხრე ტურში სამივე კითხვა გამოიცნეს: ვაჟა პაპუაშვილმა, თამრიკო დამენიამ, სოლომონ მამუჩიშვილმა, გოჩა ლობჟანიძემ, ლია რუსეიშვილმა, კობა დალაქიშვილმა და ნადეჟდა ელიზბარაშვილმა. მათ შორის განაწილდება საპრიზო 10 ლარი.

## ცხრა ტურის შემდეგ

**20** ქულა - ნადეჟდა ელიზბარაშვილი (9,80 ლარი), ვაჟა პაპუაშვილი (12,30 ლარი).

**19** ქულა - მერი მამრიკიშვილი (3,30 ლარი). **18** ქულა - სოფიკო დუნდუა (18,30 ლარი), ზურაბ კიკილაშვილი. **16** ქულა - ნიკოლოზ წიქარიშვილი (5 ლარი), ანდრო მჭედლიშვილი (10 ლარი), მერაბ წიკლაური (2,50 ლარი). **15** ქულა - ლელა კომახიძე (5,30 ლარი). **12** ქულა - კობა დალაქიშვილი (1,50), სოლომონ მამუჩიშვილი (4,00). **11** ქულა - თამრიკო დამენია (4,30 ლარი), ივანე ბერიანიძე. **10** ქულა - ნოდარ გოქაძე, ვახტანგ ნანავა. **9** ქულა - თინათინ ციქურიშვილი (3 ლარი), ნატო მაღლაკელიძე. **7** ქულა - ნანა მამულაშვილი. **6** - გოჩა ლობჟანიძე (1,50). **5** - დიანა საღრიშვილი, ალექსი ჯუგაშვილი (3 ლარი), მალხაზ გოგნიაშვილი. **4** - ნიკა სულაბერიძე. **3** - ლია რუსეიშვილი (1,50), გიორგი გვასალია (2,50), ეკატერინე ტატიშვილი (3,30 ლარი), მადონა ხეცაძე, ვლადიმერ ყაჯრიშვილი. **2** - გიორგი წერეთელი, ნათია ჩუბინიძე, მარინა ივანიშვილი, შალვა გველესიანი, ლილე აქუბარდია.

## მეათე ტურიდან შემოგთავაზებთ ოთხ-ოთხ კითხვას (5 მაისი, შაბათი 18.00-19.30.)

1. ე.წ. „მობილურების“ გამოჩენამდე ჰოლივუდელ ფრენკ სინატრას, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მსახიობად ითვლებოდა, საკუთარ ავტომობილში ტელეფონი დაუდგამს. ეს ძალზედ შეშურებია გრეგორი პეკს და არაფერი დაუშურებია იმისათვის, რომ თავადაც დაედგა ტელეფონი ავტომობილში. და როცა დაიდგა, პეკმა სინატრას დაურეკა.

ყურმილი მძღოლმა აიღო:

- ფრენკს სთხოვეთ - ამაყად მოითხოვა გრეგორიმ.

...მაგრამ მძღოლის პასუხმა უფრო მეტად გააღიზიანა და განაცვიფრა პეკი.

**რა უპასუხა მძღოლმა?**

2. ამბობენ, რომ დიდ პითაგორეს თავის ბეჭედზე ამოტვიფრული ჰქონია ასეთი სიტყვები - „დროებითი წარუმატებლობა სჯობს....

**.....რას?**

3. მოგეხსენებათ, რომ ალასკის მცხოვრებნი ძაღლებს აბამენ მარხილში ზამთრობით და ეს გასაგებიცაა, თუმცა ისინი ძაღლებს ზაფხულობითაც აბამენ ურიკაში

**რატომ?**

4. მოგეხსენებათ, ჩვენი მატარებლების ვაგონებში ტუალეტები თავში და ბოლოშია, გერმანულ ვაგონებში კი შუაშია...

**რატომ?**

# ფოტოგალერეა

## ჩვენი პლანეტის ქალები





| 35 ხაზი 40 სვეტი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 4 | 14 | | | | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 5 | 9 | 11 | 3 | 15 | 3 | 19 | 13 | 5 | | 16 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 5 | 4 | 11 | 3 | 2 | 3 | 14 | 1 | 2 | 21 | 21 | 1 | 21 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | 5 | 5 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 25 | 24 | 16 | 16 | 15 | 15 | 16 | 15 | 14 | 6 | 4 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 |

| | | |
|---|---|---|
| | 1 | 1 |
| | 2 | 2 |
| | 3 | 2 |
| | 4 | 3 |
| | 4 | 4 |
| | | 8 |
| | | 6 |
| 1 | 2 | 1 |
| | | 6 |
| | | 6 |
| | | 13 |
| | | 14 |
| | | 16 |
| | | 18 |
| | | 19 |
| | | 20 |
| | | 20 |
| | | 21 |
| | | 20 |
| | 1 | 17 |
| | 1 | 16 |
| | 1 | 17 |
| | 4 | 14 |
| | 3 | 13 |
| | 2 | 13 |
| | | 13 |
| | 2 | 11 |
| 2 | 3 | 5 |
| 2 | 3 | 5 |
| 3 | 3 | 5 |
| | 14 | 16 |
| 7 | 2 | 18 |
| | | 10 |
| | | 11 |
| | | 9 |